

# 24 საათი

## პასტუხოვისა და მენაღარიშვილის შეფასებები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ "პასტუხოვს ჭაღარა თავი აქვს"...

საქართველო-რუსეთის ახალი ხელშეკრულების გაფორმებისადმი მიძღვნილი, რიგით მეოთხე, მოსკოვი-რუსეთის აუტანლად დახუთულ კლიმატურ პირობებში ჩატარდა. "პრეზიდენტ-ოტელის" მძლავრი კონდიციონერებით გაბრუნებულმა და გაცივებულმა დიპლომატებმა დასკვნითი ბრიფინგი ათსაათიანი მძიმე დიალოგის შემდეგ დაიწყო, როცა თბილისელ დიპლომატებს სახეზე ფერი აღარ ედოთ და, პასტუხოვის გარდა, ენამჭერობის ხალისი აღარავის ჰქონდა შერჩენილი. რუსი და ქართველი დიპლომატების მოქმედებით ომბიანი ტონიდან ურუნალისტებმა მხოლოდ ერთი დასკვნა გამოიტანეს - პოლიტიკური ჩიხი.

ბორის პასტუხოვმა მაღალი შეფასება მისცა ორი ქვეყნის ექსპერტთა მუშაობას, რამაც მოლაპარაკებების მაღალი და ეფექტური ტემპი უზრუნველყო. მოსკოვი-რუსეთის მიმართული საქართველო-რუსეთის უშიშროებისა და სამხედრო უშიშროების სფეროებს, ფინანსებთან და ურთიერთობებთან დაკავშირებული უსიამოვნო საკითხების განხილვას, რასაც, პასტუხოვის თქმით, მოლაპარაკებების ატმოსფერო არაფრით გაურთულებია. ითქვა ისიც, რომ "სახელმწიფო კომისიის მუშაობა პოზიტიურ გავლენას ახდენს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კლიმატის გაუმჯობესებაზე, რადგან პუტინისა და შევარდნაძისაგან მხარეებმა შემდეგი დავალება მიიღეს: დოკუმენტის მომზადებით საქმე მის პრაქტიკულ რელიზაციამდე მივიყვანო."

გაეროს მოხსენება



რით არიან კმაყოფილები მენაღარიშვილი და პასტუხოვი?

## პრეზიდენტი არც რიონებს თმობს და არც გაზაქანს

თავისუფლება

საქართველოს პრეზიდენტი რიონების გაუქმების წინააღმდეგ გამოდის და აღარ ახსენებს კაკო ასათიანის "კარგ ინიციატივას", რომელზეც, გაუბრუნებლობის ინსტიტუტის გაუქმების მუქარის საპასუხოდ, სულ რამდენიმე კვირის წინ საუბრობდა.

საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც გაუბრუნებლობის თემაზე პარლამენტში მიღწეული შეთანხმების პირველი მოკიდან არ იყო გამოსული, ორივე კვირის წინ მიანდა, რომ დრო დაეცა ასათიანის ვარიანტის ამოსანევადა, რომელშიც რაიონების გაუქმება და მხარეების შენარჩუნება გახლდათ გათვალისწინებული. მაშინ ეს პროექტი პრეზიდენტს გაუბრუნებლობის ინსტიტუტის გაუქმების საწინააღმდეგო სერიოზულ არგუმენტად მიაჩნდა. მოტივი ასეთი გახლდათ - მხარის გაუბრუნებლობის ინსტიტუტის გაუქმებით ის ჩანასახი მოსპობოდა, რომელიც შეიქმნა მომავალ ტერიტორიულ მონყოვას დასდებოდა საფუძვლად.

მაშინ ამ სატყუარამ არ გაჭრა. სიტუაცია კი ბოლო პერიოდში, ჩანს, საკმაოდ შეიცვალა, ან ასე მიაჩნია პრეზიდენტს, რადგან მან გაუშინდელ სამთავრობო სხდომაზე ორი კვირის წინანდელის საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირა:

გაეროს მოხსენება

## გაზაქანის არაქვეყნის გადაქვეყნება გადაინიშნება

A2

## გაეროს იმპორტის სასაბარტოლოზი უიციონის

A2

## პოლიციური რიგის ფორმა მოხდარა დადასტურება

A2

## გაეროს იმპორტის გადაინიშნება

A4

## გაეროს იმპორტის სასაბარტოლოზი უიციონის

A4

## საქართველო კონტრაბანდის სადასტურება

A7

## გაეროს იმპორტის სასაბარტოლოზი უიციონის

A8

Table with weather forecasts for various cities: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, თელავი, ზუგდიდი, გორი.

Table with statistics: ქვეყნის ვალუტის რეზერვები, აქტიური მოსახლეობა, აშშ დოლარი, ევრო, გირვანჯი, სტერლინგი, რუბლი.

## "ეს ღარა და გორის სიხე!"

გაეროს მოხსენება

გორი სერიოზული დაპირისპირების ზღურბლზე დგას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 3 მაისის №138-ო ბრძანების თანახმად, ქალაქის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაეროსთან დასახლებულ კონსტრუქციის სახით გაეყვანა ემუქრება. საავადმყოფოს კოლექტივმა ეს ამბავი შემთხვევით, ბრძანების გამოცემიდან კარგა ხნის შემდეგ გაიგო.

რამაზ გომიანიშვილი, გორის ცენტრალური რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაეროსთან მთავარი ექიმის მოადგილე: "ასეთ რა-

მეს ვერც წარმოვიდგენდი! ჩვენი საავადმყოფო პრეზიდენტის მიერ 1998 წლის 13 აპრილის N233-ე ბრძანებით დამტკიცებულ, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტზეა ნუხსაშია შესული. ასეთ რამეს თუნდაც იმიტომ არ ველოდით, რომ ჯანდაცვის მინისტრის 1999 წლის 22 თებერვლის N54-ე ბრძანებით, სამხარეთო ცენტრებში, სადაც რესპუბლიკური საავადმყოფოები არ არის, რაიონული საავადმყოფოების რეკონსტრუქციის საავადმყოფოებად რეორგანიზება უნდა მოხდეს. ამ რეორგანიზებისთვის აუცილებელ ჩამონათვალში ნათქვამია, რომ სამხარეთო საავადმყოფოს უნდა შექონდეს: საკონსულტაციო პოლიკლინიკა, გადამამუშავებ-

ლი სამედიცინო დახმარების, ქირურგიული, თერაპიული, რეანიმაციული განყოფილებები. ჩვენ, ამას გარდა, მთელს რეგიონში ერთადერთი ინვესტიური განყოფილება, ასევე ტრანსპორტ-ორთოპედული განყოფილება, ცხრა სასოფლო ამბულატორია და ონკოლოგიური დისპანსერი გვაქვს. გვაყავს სახარული დახმარების მანქანა, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს და, საშუალებას გვაძლევს, ავადმყოფებს ბინაზე მოვემსახუროთ, იქედან სტაციონარში გადმოვიყვანოთ. ამით თბილისის ბუფერ სტაციონარის გაუქმებაზე უნდა შევიძინოთ უფრო მეტი უზრუნველყოფა."

გაეროს მოხსენება

## "მიხილ სააკაშვილი ცრუობს", - აცხადებს ლადო ჭანტურია

გაეროს მოხსენება

"ნაციონალური მოძრაობა ცრუობს, როცა ამბობს, თითქმის უზენაეს სასამართლოში თბილისის თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული საქმე წინააღმდეგობაა, - ასეთი იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას რეაქცია მიხილ სააკაშვილის განცხადებაზე, სადაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ვარაუდობს, რომ სასამართლო მთავრობის დაკვეთას შესარულებს და საკრებულოს მუშაობის დაწყებას ერთი წლით გააჩივრებს.

"ლადო ჭანტურიას შეუძლია, ეს საქმე ერთი წლის განმავლობაში არ განიხილოს. ან განიხილოს და გადადოს და ასე გააჩივროს ერთი წელი ან წელიწადი ნახევარი. სამწუხაროდ, ეს არის ის სცენარი, რომელიც

დგებაზე, სადაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ვარაუდობს, რომ სასამართლო მთავრობის დაკვეთას შესარულებს და საკრებულოს მუშაობის დაწყებას ერთი წლით გააჩივრებს.

"ლადო ჭანტურიას შეუძლია, ეს საქმე ერთი წლის განმავლობაში არ განიხილოს. ან განიხილოს და გადადოს და ასე გააჩივროს ერთი წელი ან წელიწადი ნახევარი. სამწუხაროდ, ეს არის ის სცენარი, რომელიც

უკვე იცის უზენაესი სასამართლოში, - აცხადებს მიხილ სააკაშვილი "24 საათთან" ინტერვიუში.

ჭანტურიას თქმით, უზენაეს სასამართლოში საქმე განსახილველად ჯერ საერთოდ არ შესულა და ამიტომ გაუგებარია მის გაჭიანურებასთან დაკავშირებული ვარაუდები.

"საარჩევნო დავების განხილვის კანონიერი ვადა არის 3 დღე. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე კანონი ვადებს არ აზუსტებს, ამ საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის ძალიან სწრაფად უნდა იყოს განხილული. უზენაეს სასამართლოში ჯერ არ შექმნილა არც ერთი პრეცედენტი, რომ საარჩევნო დავების განხილვის ვადები დარღვეულიყო," - ამბობს ლადო ჭანტურია და საერთოდ გამორიცხავს ერთ წლამდე საკრებულოს მუშაობის შეწყვეტის თეორიულ შესაძლებლობასაც კი.

სახალხო პარტიის მარჩელი, რომელიც ადგილობრივი არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვდა, საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა და ის უახლოეს დღეებში საკასაციოდ უზენაეს სასამართლოს უნდა გადაეცეს. ნაციონალურმა მოძრაობამ კი, რომელიც თავდაპირველად არჩევნების შედეგების გადახედვას და ხმების გადათვლას მოითხოვდა, ბოლო მომენტში არჩევნების შედეგების გაუქმების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა.

ამასობაში ფუნქცია ძველმა საკრებულომ აღიკვეთა, ხოლო იმას, თუ როდის დაიწყებს მუშაობას თბილისის ახლად არჩეული საკრებულო, საბოლოოდ, უზენაესი სასამართლოს განაჩენი გადაწყვეტს.



ლადო ჭანტურიას პრესკონფერენცია

## მთავრობამ „თბილგაზში“ საზღვრულ სილი გაზაფხულად

დავით მირცხულავა: "გადაწყვეტილება შემოდგომის დადგომამდე უნდა მივიღოთ"

საქართველოს მთავრობის განცხადება

შემოდგომამდე "თბილგაზში" რუსული ფესვების მქონე ამერიკული კომპანია "ნიტარ ინტერნეშენალი" მმართველობაში გადავა. იმ შემთხვევაში, თუ ჩამოყალიბდება ერთობლივი კომპანია, სადაც პარტნიორები იქნებიან საქართველოს მთავრობა და აშშ-ს ფლორიდის შტატში დაფუძნებული "იტერა ინტერნეშენალი", მის საწესდებო კაპიტალში ქართული მხარე რამდენიმე გაზგამანაწილებელ კომპანიას შეიტანს, მათ შორის, "თბილგაზს", "დუშეთგაზს", "ყაზბეგგაზს" და "მარნეშულგაზს". "იტერა", თავის მხრივ, გაზგამანაწილებელ კომპანიების რეაბილიტაციას, გამორიცხვით განხორციელებს. საქართველოს სათბობ-ენერჯეტიკის მინისტრის, დავით მირცხულავას განცხადებით,

საქართველოს მთავრობის განცხადება

გადაწყვეტილება "იტერასთან" ერთობლივი კომპანიის შექმნის თაობაზე მთავრობამ შემოდგომის დადგომამდე უნდა მიიღოს.

"სხვა ვარიანტები აღარც კი იხილება", - განაცხადა გუშინ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა, სოლომონ პავლიაშვილმა. ისრაელის კომპანია "ტაპალის" საბოლოო უარის შემდეგ კვლავ აქტიური იქნება "თბილგაზის" "იტერასთვის" გადაცემის საკითხი. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობის დელეგაცია სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორჯენაძის მეთაურობით "იტერა პოლდინგის" ხელმძღვანელებს მოსკოვიც კი ეწვია. ორი დღის წინათ "იტერას" პრეზიდენტმა, იგორ მაკაროვმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს წერილობით გააცნო "იტერას" სურვილი საქართველოს გაზის, და არა მარტო გაზის, სექტორთან დაკავშირებით.

გაეროს მოხსენება

## განდევნის თუ არა ევრო დოლარს საქართველოს სამეზობლოში?

საქართველოს მთავრობის განცხადება

იმ ფინანსურმა ქაოსმა, რომელმაც ბოლო თვეების განმავლობაში მთელი მსოფლიო მოიცვა, უამრავი შეკითხვა დააბადა. ეკონომისტები უკვე სერიოზულად ბჭობენ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ამგვარი პანიკის თავიდან ასაცილებლად, რათა მან, გლობალიზაციის პირობებში, მთელი სამყარო არ მოიცვას. ამერიკაში ფიქრობენ, როგორ აიცილონ თავიდან კორპორაციული დარღვევები, რომლებსაც სკანდალები და ბირჟებზე კრაზი მოჰყვება. ინვესტორები, საქმისწინა და რიგითი მოქალაქეები კი იმის გარკვევას ცდილობენ, რომელი ვალუტა უფრო საიმედოა - დოლარი თუ ევრო.

დოლარის დაცემამ ყველა სერიოზულად შეაშფოთა: შეაშფოთა ჩამორჩენილი ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებისთვისაც დოლარი ოქროს ექვივალენტად და სტაბილურობის

სიმბოლოდ აღიქმება და ამიტომაც თავიანთ დანაზოგს სწორედ ამერიკულ "შენაგებს" ანდობენ. შეამფოთა, აგრეთვე, განვითარებული, ნორმალური ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც მყარად დგას ფეხზე და რომელთა მოქალაქეებსაც დოლარის მიმართ, ასე ვთქვათ, არანაირი კომპლექსი არა აქვთ. ისინი თავიანთ დანაზოგებს მშვიდად ანდობენ თავიანთ ეროვნულ ვალუტას და ყველაფრის დოლარზე გადახურდა. ასეთ ვითარებაში საკუთარი ვალუტის კურსის აწევა კი, ცხადია, არავის გაახარებს, ორკლასადამთავრებული ნაციონალისტების გარდა.

გაეროს მოხსენება



# პრეზიდენტი არც რაიონებს თმობს და არც ბუბარნატორებს

**პირველი გვარდიანა**

“ასე მოუშვადებლად საუბარი სტრუქტურების გაუქმებაზე და რაიონების გაერთიანებაზე არ შეიძლება. ამ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში რაიონები ჩამოყალიბდა, როგორც კულტურული ცენტრები, პოლიტიკური თავშეყრის ადგილები, საჯარო ცენტრები...”

კაჭრეთი და გურჯაანი რომ გააერთიანეს, გველის ნაკებებით ახსოვს ეს დღეს კაჭრეთში ხალხს.

**ახლა მე ძალიან მეშინია, რომ პარლამენტი არ გაჩნდნენ ძალები, რომლებმაც ცხოვრება არ იციან და უნდათ სასწაულის მოხდენა მხოლოდ და მხოლოდ იმ მოტივით, რომ ხარჯების შეზღუდვისთვის იბრძვიან. ამისთვის პირ-**

ველ რიგში ჩვენ ვიბრძვით, სტრუქტურულ ცვლილებებზე ვმუშაობთ...”

პრეზიდენტმა ამით ცალსახად დააფიქსირა, რომ მხარს არ დაუჭერს რაიონების გაუქმებას. თუმცა, აქვე ცხადი გახდა, რომ მას პოზიცია გუბერნატორების თემასთან დაკავშირებითაც არ შეუცვლია. უფრო საინტერესო კი ის გახლდათ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ საკითხთან დაკავშირებით ცვლილებებს "აქცეობს":

**“მე მგონი, შეურიგდნენ იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტს აქვს კონსტიტუციური უფლება, ჰყავდეს რწმუნებული. რაც შეეხება სხვა სამსახურებს, რა ვუყოთ, თუ, მაგალითად, შსს-ს ურჩევნია, რომ ადგილებზე, მაგალითად, ზუგ-**

**დიდში ჰყავდეს თავისი ჯგუფი...”**

საინტერესოა, რომ ამ განცხადებებს წინ უძღოდა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელსაც “შემგუებლური პოზიცია”, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც, ნამდვილად არ დაუკავებია. თუმცა, საკითხის განხილვის გაჭიანურება საქართველოს პრეზიდენტს, სავარაუდოდ, პარლამენტის გონს მოსვლის წინაპირობად მიაჩნია. პრეზიდენტი, ყოველ შემთხვევაში, დღეს არსებული ინფორმაციით, ფრაქციებს არ შეხვედროს, რომ მათთან პოზიციათა ცვლილების შესახებ შეპირება შეიძლება.

ბიურომ კი გადაწყვიტა, რომ ფრაქციების თავმჯდომარეები პრეზიდენტს უნდა შეხვდნენ და მისი დარწმუნება პირისპირ დისკუსი-

აში სცადონ. აქვე ითქვა, რომ ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში, ეს საკითხი საპარლამენტო სხდომის განხილვის საგნად მაინც იქცევა.

26 ივლისს დაგეგმილი შეხვედრისგან, გუშინდელი საპრეზიდენტო გამოსვლით თუ ვიმჯავებთ, ქვეყნის პირველი პირის პოზიციათა ცვლილებას არ უნდა ველოდით.

ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა პრეზიდენტი იმ საპარლამენტო ერთსულოვნების დარღვევას, რომელიც გუბერნატორებთან დაკავშირებით პარლამენტში დაფიქსირდა.

პარლამენტში ამბობენ, რომ ამ ერთსულოვნების ბოლომდე შენარჩუნება პარლამენტართა “ღირსების საკითხია”. თუმცა, ბევრის ღრსებას, მოგეხსენებათ, თავისი ფასი აქვს.

## წალკაში შინაგანი ჯარის ნაწილი ჩადგება

**თამარ ხორბალაძე**

წალკა ბოლო წლებში ბერძნული მოსახლეობის 80-მა პროცენტმა დატოვა, თუმცა, მაღალმთიანი რაიონებიდან 560 ოჯახი ჩასახლდა. წალკაში არ არის გზა, არ არის ელექტროენერგია, არის უკიდურესი გაჭირვება, ენობრივი ბარიერების გამო, ვერ ფუნქციონირებს სასამართლო და არ არის გამოირცხელი პროოკაციები. ასეთი გახლავთ რეალობა, რომელიც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე წარმოჩინდა და რომელიც, ალბათ, თამაზად შეიძლება, საქართველოს ბევრ სხვა რეგიონზე გავრცელდეს. თუმცა, წალკა რომ სპეციფიური რეგიონია, იქ არსებული ნაციონალური მრავალენოვანობა გამოიწვინა, ეს გუშინ საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებიდანაც გამოჩნდა.

საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ ოთხშაბათს მთავრობის სხდომაზე წალკის რაიონში შინაგანი ჯარების ჩაყენება მოითხოვა. მისი თქმით, წალკის რაიონში ბევრი სახელმწიფო ობიექტია, რომელიც დაცვის მოითხოვს.

**“წალკის რაიონში აუცილებელია შინაგანი ჯარის თუნდაც ერთი ბატალიონის ყოფნა, რადგან, ადგილობრივ მოსახლეობაში დამაბუღების**

## რას მოუტანს საქართველოს საგარეო მთავრობის მთავარი ნადარევილის ჩართვა

“ჩვენ ამდენი ხანი აქ იმისთვის არ ვართ, რომ ხვალ აფხაზეთში ომი დაიწყოს,” - ამბობს ჰეიდი ტალიაინი

**ზაზა ნულაძე**

31 ივლისს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოზე, აფხაზეთის საკითხის განხილვისას, საქართველო სამის (?) ნაცვლად, მხოლოდ ორი პოზიციით იქნება წარმოდგენილი. არაოფიციალური ინფორმაციით, ნიუ-იორკში გამგზავრებას ეგეგმავდა აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძეც, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელია. თუმცა, აბაშიძის ეს ინიციატივა, შევარდნაძესთან ცნობილი სიტყვიერი დუელის გამო, თბილისიდან დაიბლოკა. ნიუ-იორკში შაბათს მიემგზავრება განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე, რომელიც გაეროში ოფიციალური თბილისის პოზიციას დააფიქსირებს. უკვე ერთი კვირაა, ნიუ-იორკში იმყოფება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდერ ცაავაც, რომელიც ასევე აპირებს, მიმართოს გაეროს უშიშროების საბჭოს.

პრეზიდენტ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის მხვავე სიტყვიერი დაპირისპირებით, რომელიც შევარდნაძემ გარკვევით მინიშნა აბაშიძეს, რომ აფხაზეთის პრობლემატика მისი საქმე არ არის, ყველაზე უკეთ სწორედ აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, თამაზ ნადარევილმა ისარგებლა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან გარიყული იყო.

გუშინ გაეროს გენმდიდნის ახალ სექცნარშიმომადგენელთან, შვეიცარიულ ჰეიდი ტალიაინთან შეხვედრით, ნადარევილმა უარტყენდნტი დიპლომატიური აქტივობის კვირეული გახსნა. მომდევნო სამი დღის მანძილზე ნადარევილი და მისი გუნდის წევრები შეხვედბიან საქართველოში დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის ელჩებს, ასევე “ნოთელი ჯვრისა” და ევროპის უშიშროებისა



თამაზ ნადარევილი ჰეიდი ტალიაინს აცილებს

და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლებს. “მე მსურს, ყველას დაეანახოთ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენ, აფხაზეთიდან ლტოლვილები, ამას ვეღარ მოვიტყენთ. მე ქალბატონ ტალიაინის იმ მილომ ორასი ათასი ხელმოწერის ასლი გადავცეო, რომელიც ჩვენ შევარდნით ვეთ. ყველა ეს ადამიანი გაეროს უშიშროების საბჭოსგან გაეროს წესდების მე-7 მუხლის ამოქმედებას ითხოვს, რომელიც ძალის გამოყენებით მშვიდობის დამყარებას ისარგებლებს. მე გაეროს გენმდიდნის ახალ წარმომადგენელს აფხაზეთში ქართველთა გენციცის მასალებიც გადავცანი, რომელზეც საუბარი უკვე თბილის-

**შიც კი აღარ სურთ,”** - გვითხრა თამაზ ნადარევილმა.

ნადარევილის ცნობით, იმავე მასალებს გაეროს უშიშროების საბჭოს მისი წარმომადგენელი ლონდერ ცაავა წარუდგენს, რომელიც ერთი კვირაა, რაც ნიუ-იორკში იმყოფება. ცაავა გაეროსგან აფხაზეთში მშვიდობის ძალით დამყარებას, ლტოლვილთა დაბრუნებასა და ქართველთა ეთნიკური მწეიდნის აღიარებას მოითხოვს. “მე არ მაქვს იმედი, რომ 31 ივლისს გაერო საქართველოსთვის რაიმე სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, მაგრამ მიინდა, ამ დრომდე ყველა სამშვიდობო რუსის ამოცნურთ,” - ამბობს ნადარევილი.

## პავლიაშვილი “გადარჩა?!”

**თამარ ხორბალაძე**

ქონების მართვის მინისტრმა თანადგობა, მინიმუმ, ერთი კვირით შეინარჩუნა.

საუბრები სოლომონ პავლიაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, მთავრობა ერთი ხელის მოსმით “მოქალაქეთა პარტიამ” რომ შედიოდა. მაშინ მსგავსი პერსპექტივა ენერგეტიკის მინისტრისა და კავშირგაბმულობის მინისტრის მისამართითაც განხილვებოდა, თუმცა, იმჟამინდელმა ქართველმა უდანაკარგედ გადაიარა.

ქონების მართვის მინისტრის თემა სამიოდე კვირის წინ ისევ აქტუალური გახდა. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ანტიკორუფციულმა ბიურომ ამ პერიოდისთვის დაამთავრა სამინისტროს მიერ განუული საქმიანობის შესწავლა და პრეზიდენტის მაგიდაზე საკმაოდ მკაცრი დასკვნა დალო.

სამი კვირის წინ გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მთავრობის უახლოეს სხდომაზე უნდა განხილულიყო პავლიაშვილის მართვის სამინისტროს მთავრობის მართვის შესახებ. თანამომხსენებლად კი მაშინვე სახელდებოდა “მთავარი ანტიკორუფციონერი” კახა უგულავა.

უკვე სამი კვირაა, ამ საკითხის განხილვა მთავრობის სხდომაზე, ხან სხდომის გადადებას, ხან დღის წესრიგის შეცვლის გამო, ვერ ხერხდება. მთავრობის გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანამ შექმნა მოლოდინი იმისა, რომ ქონების მართვის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხი ბუნებურად ეკიდა.

**“ინფოკომის” პრივატიზაციის კანონიერებას საშთაპრობო კომისია დაადგენს**

გუშინ მთავრობის სხდომაზე არ შედგა ქონების მართვისა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრების დუელი, რომელიც ერთმანეთს კავშირგაბმულობის სანარმო “ინფოკომის” პრივატიზაციის გამო დაუპირისპირდნენ. “ინფოკომის” საკითხის განხილვა ორი კვირის შემდეგ, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე მოხდება, მანამდე აფხაზეთის წარმომადგენელი იგი არის მხამეგრელოს რეგიონში მოქმედი ერთი საპასპორტო მაგისტრის ხელმძღვანელისა, რომელიც კონტრბანდულ ბენზინს იღებს... “შევიარდნაძე და ნადარევილი უშუალო კავშირში იმყოფებიან აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან,” - აცხადებს “ამლორძინებელი” ბალათურია.

თქვენი აზრით, აკონტროლებენ თუ არა ქართველი პარტიზანები კონტრბანდული ტვირთის მოძრაობას? - “24 საათის” ამ შეკითხვაზე ბალათურიამ უპასუხა: “ძალიან მეჭვჭვება, რომ ეს სიმართლეს შეეფერებოდეს. პარტიზანებს მხოლოდ აფხაზეთისადმი შურისძიების გრძნობა ამოძრავებთ.”

ჯონდი ბალათურია დაწინაურებულია, რომ მართვადი ქაოსის პოლიტიკა, რომელიც შევარდნაძემ წამოიწყო, სწორედ რომ აფხაზეთის გასხვისებას ემსახურება. “ხალხი არეულობით ისე დაიდოლება, ბოლოს იტყვის, ოღონდ ეს ცხოვრება დალაგდება და რაც უნდა, ის აკეთოს ხელისუფლებაში.” ბალათურიას აზრით, “ცხოვრების დალაგებას” შევარდნაძე მოახერხებს “ქართველი პუტინის”, ანუ იმ ადამიანის ხელით, “ვინც კაცობრივად შორის ყველაზე ძლიერი აღმოჩნდება და გადარჩება.”

## “ნადარევილი ბანკონს ყიდის, შვიარდნაძე - აფხაზეთს, - აცხადებს ბალათურია

**ვერიკო თევზაძე**

“სოფელ რუხში კორუპციონებულ ვარიანტს მოხდა. საქართველოს ხელისუფლების და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებმა აფხაზ სეპარატისტებს 25 ათასი რუსული პასპორტი გადასცეს. პასპორტები თბილისიდან გაიტანეს. სანაცვლოდ, აფხაზეთმა ქართველებს კონტრბანდული ბენზინის დიდი პარტია დაუთმეს,” - განუცხადა ჟურნალისტებს გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჰრონი ბალათურია.

ბალათურია, რომელიც, ჯერჯერობით, ინფორმაციის წყაროს არ ახახელებს, აუცილებლად მიიჩნევს, რომ ამა წლის 1 ივლისს რუხში მომხდარი გარიგებით დაინტერესდეს გენერალური პროკურატურა. “აფხაზეთის ხელისუფლება კონტრბანდულ ბენზინსა დახარბებული და ამისათვის ყველაფერზე მიდის.”

ჯონდი ბალათურიას აზრით, შევარდნაძე და ნადარევილი სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული აფხაზეთის კონფლიქტის დაკონსერვებით. “შევიარდნაძემ, დიდი ხანია, მიჰყიდა აფხაზეთი რუსეთს და გარკვეული დრო სჭირდება, რათა საზოგადოება საამისოდ შეამზადოს. აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებს ფინანსური ინტერესები ამოძრავებთ. გადამწვარ მხარეები დაბრუნება რაში აწყობთ, როცა



ჰონდი ბალათურია

თბილისში მათთვის ფულის მდინარეები მოედინება... აქ ფილარმონიები ააშენეს... ბენზინის, ნარკოტიკების, თხილის, ჯარ-

თის ბიზნესი აქვთ გაჩაღებული.” როცა ჟურნალისტებმა გვერდის დასახლება მოითხოვეს, ბალათურიამ დააკონკრეტა, რომ იგი,

## გოგორიშვილი სამსახურის შეცვლას არ აპირებს

**თამარ მკვიდრიშვილი**

ეროვანი შევლებლის შემდეგ საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი ხათუნა გოგორიშვილი სამსახურს დაუბრუნდა და ამ თანადგობიდან წასვლას არც კი გეგმავს.

არადა, დაახლოებით ერთი თვის წინაშე, საქართველოს პარლამენტის თანამდებობაზე ნინო ბურჯანიძემ კოლეგებს არწმუნებდა, რომ მან და გოგორიშვილმა, ხანგრძლივი საუბრების და კონსულტაციების შემდეგ, კომპრომიზული გადაწყვეტილება მიიღეს, რომ

ლის შინაარსი ასეთია - პარლამენტს, საერთო ვითარების განსამუხტავად და ზოგიერთი ფრაქციის დასამომხმინებლად, ხათუნა გოგორიშვილი დატოვებდა და გადაინაცვლებდა სხვა არანაკლებ საპასუხისმგებლო სავარძელში.

“23 ივლისს უკვე გამოცხადდა სასახურში. ჩვეულებრივ რეჟიმში ვმუშაობ. რთული სათქმელია, გამოინვეთ თუ არა ჩემი დაბრუნება პარლამენტში რაიმე პრობლემა, ამას დრო გვიჩვენებს. კიდევ ერთხელ ვიწახვრები - ამ სამსახურიდან არსად წასვლას არ ვაპირებ.” - განუცხადა ხათუნა გოგორიშვილმა “24 საათს”.









# პასტუხოვისა და მენადარიხვილის შეფასიბები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ „პასტუხოვის ჭაღარა თაჰვი აქვს...“

## პირველი გავრცელება

რამდენად შესძლებენ ამას მხარეები, მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც, ნებისმიერ შემთხვევაში, პრეზიდენტები ერთმანეთს მინც შეხვდებიან და საყვედურების საფუძველიც ექნებათ.

ირაკლი მენადარიხვილმა პრესასთან საუბარში დაადასტურა მოსკოვერი რაუნდის კონსტრუქციულობა, რამაც ქართველი მინისტრი, რატომღაც, ზედმეტი ოპტიმიზმისათვის განაწყო.

რუსი ყურნალისტები დაინტერესდნენ, თუ როგორია რუსეთის პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. პასტუხოვი საქართველოს სუვერენიტეტზე ხელშეშებულ აქსიომად გამოაცხადა. "მაშინ რითი ახსნით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ერთიანი სამხრეთი ზონის დაკანონებას, შერბილებულ სავიზო რეჟიმსა და რუსული პასპორტების დარიგებას?" - გვიღარ მოითმინეს "რენ-ტე"-ის კორეს-

პონდენტებმა. ამ შეკითხვაზე ბორის პასტუხოვმა ასეთი პასუხი გასცა:

“დღეს, შესაბამისი განცხადების საფუძველზე, რუსეთის მოქალაქეობის მიღება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, მაგრამ არავითარ ავტომატიზმს აქ ადგილი არ აქვს. ჩვენი სამინისტროს კვალიფიციური ჯგუფი ამ საკითხს სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობით გადაწყვეტს. მნარედ ცდება ის, ვისაც შგონია, რომ რუსეთის მოქალაქეობის მიღება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთისათვის მიერთებას ნიშნავს. ეს საერთაშორისო სამართლისა და კანონმდებლობის ელემენტარული ნორმებითაც დაუსაბუთებელია. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, მისი მივილი რიგი რაიონები რუსეთის ფედერაციას ესაზღვრება და, სამეურნეო, ეკონომიკური კავშირების გარდა, მჭიდრო ადამიანური ურთიერთობების გათვალისწინებაც გვიხდება. აფხაზეთთან დაკავშირებით კი, როცა ამ გადაწყვეტილებას ვიღებდით,

რუსეთი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დღეს ჩვენს ქვეყანაში მუშაობს - ადლერსა და სოჭში, რუსეთის მოქალაქეები კი აფხაზეთში სამეურნეო საქმიანობას მისდევენ. საქართველოში დღეს არსებული მძიმე ეკონომიკური ყოფა იძლევა იმის უფლებას, დამატებითი სიმძლევით არ შეუქმნათ ეკონომიკური კავშირების დამყარებას. ხოლო ასეთი ურთიერთობების ნორმალიზაცია თავისთავად მიგვიყვანს სავიზო რეჟიმის დარეგულირებადღაც.”

პასტუხოვმა "24საათის" შეკითხვაზე პასუხისას აღნიშნა, რომ "ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი არ არის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნის ან ორ ქვეყანას შორის მსგავსი სტრუქტურის ფუნქციონირების საკითხი, სამაგიეროდ, აფხაზეთის პრობლემის დარეგულირება მხოლოდ პოლიტიკური დიალოგის გზითაა შესაძლებელი. დარწმუნებული ვარ, ამ მიზნის

მისაღწევად მშვენიერი ბაზაა ბოდენის გეგმა.” ჩვენს შეკითხვას, თუ როგორ კომენტარს გაუკეთებს იგი ბოდენის გეგმის აფხაზეთისათვის დღემდე გადაუცემლობას, პასტუხოვმა უპასუხა, რომ "აფხაზეთის ხელისუფლება აბსოლუტურად არასწორად იქცევა.”

სახელმწიფო კომისიის რუსმა თანათავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჩარჩო-ხელშეკრულების მომზადების დიპლომატიური ტექნოლოგია თითქმის კლასიკურია - მხარეები არ იღებენ გაზრდილ ვალდებულებებს და კალენდარში დღეებსაც არ აღნიშნავენ. პასტუხოვი ვარაუდობს, რომ ამ წლის ბოლომდე ხელშეკრულებას, შეიძლება, პრეზიდენტებმა ხელი მოაწერონ. სად მოხდება ეს, რუსი დიპლომატის თქმით, მნიშვნელობა არ აქვს.

ირაკლი მენადარიხვილმა საკუთარ დიპლომატიურ შეფასებებში მეტი ოპტიმიზმი გამოამჟღავნა. "თუ დღევანდელ სულისკვეთებას შევინარჩუნებთ, ხელშეკრულება რამდენ

იმე კვირაში გაფორმდება," - ამტკიცებს იგი. მენადარიხვილის თქმით, "პუტინ-შეგარდნაძის შეხვედრის მომზადებაზე უკვე სათანადო სტრუქტურები მუშაობენ და მოხარული დაგრძობდით, თუ იმ დროისათვის დოკუმენტი მზად იქნება.”

ჩვენი მინისტრის ვარაუდით, თუ შეხვედრა აგვისტოში შედგება, თვე-ნახევარში პუტინი შეიძლება თბილისშიც ჩავიდეს და დოკუმენტს ხელი მოაწერონ. ეს, ქართული მხარის მტკიცებით, რეალური ვარიანტია.

“ჩვენი შეფასებები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ მე ჭაღარა თაჰვი მაქვს და ირაკლის ასაკის როცა ვიყავი, ზედმეტი ოპტიმიზმისაგან თავს ვიკავებდი,” - განაცხადა ამის პასუხად ბორის პასტუხოვმა. მენადარიხვილი კი პასტუხოვს დაპირდა, ჩემს ოპტიმიზმს თქვენც გაემიჯნებოდით.

ყურნალისტები დაინტერესდნენ, თუ კონკრეტულად რა მნიშვნელობა უნდა იყოს საუბარი მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდზე. პასტუხოვმა

ამაზე უპასუხა, რომ დიპლომატიკა შეთანხმდნენ, შეფასებებისაგან და კომენტარებისაგან თავი შეიკავონ.

ზაფხულის აუტანელი სიცხეების პირობებში მოლაპარაკებების შემდეგ რაუნდის გადაზე მხარეები კონკრეტულად არაფერს ამბობენ. მაგრამ იგი აგვისტოში აუცილებლად შედგება, - ამტკიცებს პასტუხოვი.

მენადარიხვილი დღეს რუსეთის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრს, ილია კლუბანოვს ხვდება. ბატონმა ირაკლიმ შეგახსენა, რომ კლუბანოვი რჩება რუსეთ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ და რუსული ბაზების საკითხში კვლავ მისი პრეორგანიზაცია. ანუ ახალქალაქის, ბათუმის, გუდაუთის ბაზებისა და ურთიერთდავლიანების სადაგო, რთული პრობლემების გადაჭრა დღეს აქტუალობას ინარჩუნებს, მით უფრო, რომ მხარეებს ვალდებულებები, მენადარიხვილის თქმით, დღემდე არ შეუსრულებიათ.

# ქართული არმიის „საბრძოლო“ გზა

## საჭროთიდან დასავლეთისკენ

## ბიოგრაფიული

ქართული არმიის ჩამოყალიბებისას, რიგი გარემოებებიდან გამომდინარე, რუსული მოდელი იქნა არჩეული. იმ პერიოდისთვის ამას, აღბათი, გარკვეული გამართლება ჰქონდა: საქართველო იმყოფებოდა რუსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში, ქართველი სამხედრო მოსამხარუეებისთვის უფრო ნაცნობი და ახლობედი იყო საბჭოთა (იგივე რუსული) საბრძოლო ტექნიკა, საჯარისო დისციპლინა და კანონები, გარდა ამისა, მაშინ ოფიციალური მოსკოვი არმწიფებდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ დაეხმარებოდა შეიარაღებული ძალების ფორმირებაში და შედარებით იაფი საბრძოლო იარაღით მოამარაგებდა. მოგვიანებით, ქვეყნის პოლიტიკური სტრატეგია შეიცვალა, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობები დაიძაბა და სამხედრო სფეროში რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობა, ფაქტობრივად, შეწყდა. ამის პარალელურად, თანდათან განმტკიცდა კონტრეტები დასავლეთით და, ნატოსთან და, შესაბამისად, გაიზარდა იქიდან წამოსული დახმარება. ამ კუთხით, ბოლო აკორდას წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში "ნეტანისა და ალტურის" ამერიკული სამხედრო დახმარების პროგრამა, რომლის "ათვისებაც" ამჟამად მიმდინარეობს.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ზემოთქმული იმას, რომ საქართველო უარს ამბობს რუსულ სამხედრო მოდელზე და თანდათან დასავლურ სტანდარტებზე გადადის? თუ ეს მარცხ ერთგვრად და დახმარება და ქართული არმიის ფორმირების საკითხში კარდინალური ცვლილებების განხორციელება მისალოდნელი არ არის? დასავლურ სტანდარტებზე გადაწყობის შემთხვევაში, საქართველოს არმიის შეიარაღებაში ასევე რუსული იარაღი დარჩება თუ ის ამერიკული (ან დასავლეთეკროპული) შეიცვლება?

გვახსენებთ ამ საკითხებზე ქართველი სპეციალისტების მოსაზრებებს. **ირაკლი ბათიაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:**



კოჭრის ბატალიონის კარისკაცები

უარი თქვას. პირობით: თუ ნატოსთან ინტეგრაციისა და ამერიკასთან აქტიური თანამშრომლობის გზით მივდივართ, ამის აუცილებელი ნიშანია - თავის დროზე, რას წარმოადგენდა საბჭოთა არმია. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ რუსული იარაღი ნატოს სტანდარტებში არ შედგება, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსული სამხედრო იარაღი ცუდია. თუმცა, ზემოთქმული არც იმას გულისხმობს, რომ საქართველო რუსული სტანდარტების ერთგული უნდა დარჩეს და ძირეულ რეფორმებზე

# რამდენი პარლამენტარი სჭირდება საქართველოს

## თამარ ხორბალაძე

საქართველოს მეტიმეტად ბევრი პარლამენტარი ჰყავს. ამდენი "მოლაპარაკე" ქვეყანას არ სჭირდება.

რაც ნაკლები დეპუტატი იქნება, მით ნაკლები თანხა დასჭირდება მათ შენახვას.

რაც ნაკლები იქნება პარლამენტარი, მით ნაკლები დეპუტატი მოახერხებს მხოლოდ უფუნქციო პულტად დარჩენას.

რაც ნაკლები პულტი იქნება პარლამენტში, მით უფრო მძელი გახდება მანიპულირების იმ პრაქტიკის გამოყენება, რომელიც დღეს მყარად არის დამკვიდრებული.

ეს არგუმენტები და ახალ ტერიტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დისკუსია გახდა ერთ-ერთი სერიოზული წინაპირობა საქართველოს პარლამენტის ნევრთა რაოდენობის შემცირებაზე სასაუბროდ.

ამ არგუმენტებს კიდევ უფრო უმყარებს საფუძველს პარლამენტის საინფორმაციო-კვლევითი განყოფილების მასალები იმის შესახებ, თუ როგორ შეფარდება არსებობს მსოფლიოში ქვეყნის მოსახლეობასა და პარლამენტართა რაოდენობას შორის. ამ მონაცემების თანახმად, 19-მილიონიან ავსტრალიას 224-დეპუტატი ჰყავს, 8-მილიონიან ავსტრიას - 248 დეპუტატი ჰყავს, 37-მილიონიან არგენტინას - 347, 10-მილიონიან ბელგიას - 221, 83-მილიონიან გერმანიას - 737, 5-მილიონიან დანიას - 179, მილიონ-ნახევრიან ესტონეთს - 101, 5-მილიონიან ისრაელს - 120, 4,5-მილიონ



ასპრ ბათიაშვილი, ფოტო

ნიან ნორვეგიას - 165 და ა.შ. და ა.შ. საბოლოო ჯამში, საშუალო არითმეტიკულით დაანგარიშებული შეფარდება ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: მილიონამდე მოსახლეობის მქონე ქვეყნებში დეპუტატთა საშუალო ოდენობა 40-ია; 1-დან 10-მდე მილიონამდე მოსახლეობის მქონე ქვეყნებში - 162; 11-დან 20 მილიონამდე მოსახლეობის მქონე ქვეყნებში - 228 და მერე ზემოთ და ზემოთ...

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტში 150-დეპუტატის იმ შემადგენლობა, ორი პალატის არსებობის შემთხვევაშიც, სრულიად ლოგიკური და აბსოლუტურად საკმაოა უნდა იყოს.

მეტი გამართულ ბიუროს სხდომაზეც შედეგა, სადაც ამ აზრის მთავარი მომეტეტიკულით დაანგარიშებული შეფარდება ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: მილიონამდე მოსახლეობის მქონე ქვეყნებში დეპუტატთა საშუალო ოდენობა 40-ია; 1-დან 10-მდე მილიონამდე მოსახლეობის მქონე ქვეყნებში - 162; 11-დან 20 მილიონამდე მოსახლეობის მქონე ქვეყნებში - 228 და მერე ზემოთ და ზემოთ... ამ ლოგიკიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტში 150-დეპუტატის იმ შემადგენლობა, ორი პალატის არსებობის შემთხვევაშიც, სრულიად ლოგიკური და აბსოლუტურად საკმაოა უნდა იყოს.

# სჭირდება საქართველოს

რომ ეს საქართველოს პარლამენტს, რომელიც ისედაც დისკრედიტებულია საზოგადოების თვალში, კიდევ უფრო დადასტურებს.

ამ აზრს ავითარებს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლოძე, რომელმაც "24 საათთან" საუბარში განაცხადა:

“თავისთავად, ასეთი პარამეტრით მივდივარ, რომ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით უნდა იყოს განსხვავებული პარლამენტის წევრთა რაოდენობა, ცალსახად არასწორია. აუცილებლად არის გასათვალისწინებელი მთელი რიგი ფაქტორები. მაგალითად, მაჟორიტარების რაოდენობა, ორპალატურობა, ერთპალატურობა, პოლიტიკური კულტურა და გამოცდილება, პარტიების რაოდენობა... რა თქმა უნდა, ამ პარამეტრების მიხედვით, ორპალატურობა პარლამენტში, შეიძლება, მართლაც იყოს 150-170 დეპუტატისა. მაგრამ დღეს მე არ მიმაჩნია, რომ პარლამენტის რაოდენობის შემცირება სწორი იქნება. ამ სიტუაციაში ძალიან ადვილად იყიდება ხმები, ზოგჯერ შეპირებულ კი... ამ პირობებში მივიღებ კლასიკურ და დაჯგუფებების პარლამენტს. დღეს თუ პარლამენტში არსებობს უფლები, არსებობს საშუალო ფენა, რომელიც არეგულირებს შისდასავალი პარლამენტის ძალთა ბალანსს, არის გამწვანებული ოპოზიცია, არის ზომიერი ოპოზიცია... შემცირებული პარლამენტის ესეც აღარ იქნება. დღეს შემცირებაზე ლაპარაკობს, ძირითადად, ორი კატეგორიის ხალხი - ერთნი ისინი, ვინც დემოკრატია ცდილობენ ხალხის

ხმების მოპოვებას და იმაზე თამაშობენ, რომ პარლამენტმა ავტორიტეტი დაკარგა; მეორე - ვისაც, სხვადასხვა საშუალებებით, პარლამენტში მოსვლა გარანტირებული აქვს.”

ანალოგიურ პოზიციას ავითარებს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის თავმჯდომარე რომან გოცორიძეც, რომელსაც პარლამენტის გაბერლი დეფინანსების შესახებ საუბარი სასააცილოდაც არ ჰყოფნის:

“ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც ამ მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავთ, არის პარლამენტის დიდი დეფინანსება. ის ხარვეზი, რაც დეპუტატებისთვისაა გათვალისწინებული, რეალურად, მართლაც მიზნობრივია. პარლამენტის დეფინანსება 3 მილიონ დოლარამდეა, რაზე შედის აპარატიც, კანცელარიის ხარჯებიც, მედიკინების, კომუნალური ხარჯებიც. ეს, სხვა სახელოდ უფლებო სტრუქტურების დეფინანსებასთან შედარებით, მართლაც არ არის დიდი თანხა. ფინანსურ კონტექსტში ამის განხილვა საერთოდ არ არის კორექტული.

რეგიონული მონაცემის ცვლილებაზე საუბარში დღეს ნაადრევია. მერე კიდევ, შეიძლება, შეიქმნას სამხარეო პარლამენტები და სხვა, რაც ძალიან ფართო საკითხია.

ეს რაოდენობა, რომელიც დღეს არსებობს და თითქოს გაბერლია, გარკვეული ბალანსი, გამაწინასწარებული ფაქტორის როლს თამაშობს.

საქართველოში დღეს დეპუტატების ძალიან დიდი რაოდენობა მოდის მოსიყვარულის გზით და გარკვეული რაოდენობა - ბუნებრივი პროცესებით.

მეორეც, როცა პარლამენტი მცირეა, უფრო ადვილია შიდა გარიგებები. რაც უფრო ბევრია პარლამენტარი, მით მეტია ფრაქციული ინტერესები. დღეს პარლამენტში დამოუკიდებლად მოთამაშე დეპუტატები ბევრია. ხოლო 70 პარლამენტარის არსებობის შემთხვევაში, ექსტრემალურ სიტუაციაში, მათი დაშინება შეიძლება, რაც დღევანდელ პარლამენტში თითქმის შეუძლებელია.

გარდა ამისა, პარლამენტის შემცირება პარტიების შენარჩუნების საკითხს დააქნის. პარტიების წარმომადგენლობა იქნება ორი-სამი დეპუტატი. დღეს და ბოლო პერიოდში პარლამენტში თუ ვინმე რამეს აკეთებს, ეს არიან პოლიტიკური ფიგურები. ძალიან იშვიათია, რომ მთლიანად დეპუტატმა პარლამენტში, რაიონში და საკუთარი ინტერესების გარდა, სხვა საკითხების ლობირება მოახდინოს.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დაბაჯერებულია ერთი ან მეორე მხარის არგუმენტები, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი - საბოლოო ჯამში გადაწყვეტილება პარლამენტართა რიცხვის შემცირების შესახებ ისევე პარლამენტართა მისაღებად უნდა დადგინდეს პარლამენტის ფრაქციულ სიჭრეტესა და გაერთიანების ნების და იმასაც, რომ გამოკვეთილი ტიპური ამჟამინდელ პარტიულ სექტორში არ არსებობს, ცხადია, დღევანდელი პარლამენტი პარლამენტართა რიცხვს თანდასთან მის მიერ დარჩენის შიშითაც არ შეამცირებს. ეს ფაქტორი, ყოველ შემთხვევაში დღეს, იმ არგუმენტად გვეჩვენება, რომელიც ყველა სხვა დანარჩენს გადაწინის.

# უბბულები ავსტრიული მონარქის დაბადების დღე უნდა აღენიშნათ

## მყიფე მდგრადობა თუ ბუნების მდგრადი განვითარება



მხილ რომბონის ბილიკი ლიკანის მახლობლად



1992 წელი. თბილისის უცხო ენების ინსტიტუტი. გერმ რამიშვილი, პარტმედ იუნგისი და მხილ ზუკოვი

### მორბი ბახალაქი

ბუნების წილში, სადმე წყაროს-თავზე ან რომელიმე მონასტრის ეზოში პურისჭამა და მწვადის შიშხინი თითქმის ყველა ქართველ ჯველს დედა-სამშობლოსადმი ერთგულეების უმჯობეს გამოხატულებად მიჩნია. რაც ხშირად და მეტ სხვადასხვა ადგილას, მით უკეთესი. ნანადირევის პარკალს, ან დენით თათრიახნად ამოყრილ "ცოცხალსაც" თუ გალოლნის და "ამ ჩვენი წალკოტის" სადღეგრძელის სტომაქში მოიქცევს, მასზე ბედნიერი აღარავინ იქნება. მეორე დღეს კი, დაბიჟინებულნი, გადათვლის მორად გაყიდული ორი მანქანა ნელი მსალიდან თავის წილად დარჩენილ 100-150 დოლარს. ძირითადად, ასე უყვართ ქართველებს დედა-სამშობლო.

**საკუთარი საჭიროებისათვის მოსახლეობა სასტიკად ძარცვავდა ბუნებას. ანადგურებდნენ ყველაფერს, რისი განადგურებაც შეიძლებოდა,** – ასე უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებას ევროპელებს შვეიცარიული ჟურნალისტი ბირნარდ მატუსიკი. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მინვევით, ის ამ გაზაფხულზე გახლდათ ბორჯომ-ხარაგაულის პირველ ეროვნულ პარკში. **“მაგალითად, სულ რამდენიმე წელიწადში, პარკის ამჟამინდელ ტერიტორიაზე, ირმების რაოდენობა 600 სულიდან სამ ათეულამდე შემცირდა,** – წერს მატუსიკი, რომელსაც, ჩანს, არ მოუწია “ირმების გადმოსახედიდან” დანახული საქართველოს სადღეგრძელის ამყად და-

ლევა. სათვალავიც არეგია. ამავე პარკის მცველებმა გვითხრეს, რომ 1992 წელს 1200 ირმე იყო, ხოლო წელს 43 დათვალეს. თანაც, ყველას ნატყვიარი ჭრილობა ჰქონდა, ან ძალღებისგან იყო დაკბენილი.

**“აქ ძალიან გავრცელებულია დათვზე და მგელზე ნადირობაც. ის, რომ ისინი გადაშენებას გადაურჩნენ, ორი მიზეზით აიხსნება. ისინი ძნელად მისადგომ ადგილებში ბინადრობენ და არ გააჩნიათ ძვირფასი ტყავი. ბორჯომში მათ გამიზნულად ამრავლებდნენ, რათა ჯერ თავადების, შემდგომ კი პარტიული ლიდერების თოფებს სამიზნე არ მოკლებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი საქართველოს ეკონომიკამ სრული წგრევა განიცადა და ქვეყანაში ჯერ სამოქალაქო, შემდეგ კი ეთნიკური ომები გაჩაღდა. ამ დროს ბუნებისათვის არავის ეცალა,”** – შეეცარული ჟურნალისტის ზოგად დასკვნას ძნელია არ დაეთანხმო.

\*\*\*  
დღეს, როდესაც ეროვნულ პარკებზე ჩამოვარდება საუბარი, საქართველოს ხელისუფლების ძალიან ბევრ ახლანდელ თუ ყოფილ წარმომადგენელს თავი კიტრად მოაქვს. ძალიან იშვიათად ნაანყდებით ადამიანს, რომელიც “სათავესთან” არ მდგარა და გარშემო კი “ერთი-ორი ადამიანი თუ ტრიალებდა.” თუ საქმე ნარმატებით ზორციელდება, მაშინ ასეთი ცარიელი პატივმოყვარეობა გალიზიანებას არ ინევეს.

საქმე ისაა, რომ ახლა უკვე მოარულ სიტყვებს - “ეროვნული პარ-

კი”, **“მდგრადი განვითარება”, “დაცული ტერიტორია”** – კიდევ კარგა ხანს ვერ გავიგონებდით საქართველოში, სახელოვან ენათმეცნიერს, გურამ რამიშვილს 1990 წელს გერმანელი ჰომოპატი, ვოლფგანგ ფრიკე რომ არ შეხმიახებოდა. მაშინ ის აქტიურად იყო დაკავშირებული საქართველოსთან. ბევრს ახსოვს 9 აპრილს მონამულებების გერმანიაში მკურნალობის ამბავი. დიას, სწორედ ვ. ფრიკე გახლდათ ამის ორგანიზატორი. მისი ერთლიანი გამოცდილების საფუძველზე, გერმანულ საზოგადოებაში, იგი მიჩნეული იყო “პერესტროიკული” საქართველოს “ექსპერტად”. სინამდვილეში მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა განპირობებული იყო მდიდარი და უაღესად გავლენიანი სიმამრით, რომელიც “მძიმეონოსანი” ბიზნესმენი და ევროპულ არისტოკრატიასთან გამიზნული ადამიანია.

ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის მეუღლის, მისი სამეფო აღმატებულების, ედინბურგის ჰერცოგის პრინც ფილიპის პატრონაჟით 1961 წელს დაარსებულ WWF-ს 30 წლოვანი იუბილეს აღნიშვნა უნევედა. იმავდროულად, 1991 წლის შემოდგომაზე ავსტრიელი მონარქების მეგვიდრეს, ოტო ჰაბსბურგსაც ჰქონდა დაბადების დღე. ის კი, თავის მხრივ, როგორც ევროპის ყველა სასაზოგადოებრივი მფარველობს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდს. შეგახსენებთ, რომ ევროპელი მონარქები დაბადების დღეებს მნიშვნელოვანი საქმეებით და არა “ცისფერისხლიანთა ტუსოკებით” აღ-

ნიშნავენ. ასეთი ორმაგი იუბილე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. გაჩნდა იდეა, ეს ამბავი ევროპის უმაღლეს დასახლებულ ადგილას - უშგულში აღნიშნულიყო და WWF, კეთილმოილი მიზნებითა და სსრკ-ში მნიშვნელოვანი დასავლური საზოგადოებრივ-პოლიტიკური “ზურგით”, თანაც საქართველოში, შემოსულიყო.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) აღმოსავლეთის მიმართულების პროგრამების კოორდინატორის, გერმანელი პარტმედ იუნგისის გარეშე ეს ინიციატივა ვერ განხორციელდებოდა. იგი ვ. ფრიკეს დაუკავშირდა და მან, თავის მხრივ, საქართველოში ერთადერთ ჯანსაღ დასაყრდენ პიროვნებად სწორედ გურამ რამიშვილი დასახელა. რა თქმა უნდა, იუნგისი ერთი ადამიანის რეკომენდაციას ვერ დასჯერდებოდა ასეთ საბაზუხიმგებლო საქმეში. როგორც შემდგომში თავად იხსენებდა, გურამ რამიშვილის სოლიდრმა რეკომენდაციამ, გერმანიის სამეცნიერო წრეებში, გააოცა. მათ გაცნობას მოჰყვა დაინტერესება და საქართველოში მძლავრი ბუნების-დაცვითი მოძრაობის წამოწყების სურვილი. WWF ძალიან იყო დაინტერესებული კავკასიის ეკოსისტემის შემცირებულ მდგომარეობაში და მდგრადი განვითარებით. იმავედროულად, გლობალური პროექტის დონორობა რღვევის პირას მისულ საბჭოთა კავშირში დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. რამდენიმე თვის ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ, საქართველოში ჩამოსვლასა და

საქმიანობის დაწყებას ვ. იუნგისი მხოლოდ ორი პირობით დათანხმდა: რესპუბლიკის არჩევნებში არაკომუნისტური ძალების გამარჯვება და მხოლოდ გურამ რამიშვილის მიერ კეთილსინდისიერი პროფესიონალური ან ენთუზიასტების გუნდის შეკრება. 1991 წლის შუახანისთვის ორივე პირობა შესრულებული იყო.

უკვე მზად იყო უშგულში მოსანევევი, მართლაც მსოფლიო ელიტის სია (სამეფო ოჯახებით, როგველერების თუ როტშილდების მეგვიდრეებითა და უაღრესად გავლენიანი ევროპული საზოგადო მოღვაწეებით), როდესაც საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება სამხედრო გადატრიალებაში გადაიზარდა. ბუნებრივია, WWF-ის “სვანური” გეგმები ჩაიშალა.

მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პარტმედ იუნგისისათვის, რომ 1992 წლის გაზაფხულზე WWF-ის წარმომადგენლობა გაეხსნა თბილისში. თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის, რომლის რექტორიც გურამ რამიშვილი გახლდათ, ორ ოთახში მოქმედება დაიწყო სუთიოდ ენთუზიასტისაგან შექმნილმა ჯგუფმა. დღეს, 10 წელია, რაც WWF საქართველოშია, მისი წარმომადგენლობა ერთი თვის წინ კავკასიურ ბიუროდ გამოცხადდა. ამასობაში საქართველოში, WWF-ის გლობალური ინიციატივით “საუქარი დედამინიშობა რღვევის პირას მისულ საბჭოთა კავშირში დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. რამდენიმე თვის ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ, საქართველოში ჩამოსვლასა და

რამ რამიშვილის სახელის მინიჭება აქვთ განზრახული.

საქართველოში პირველი – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მესამე წელია მოქმედებს. როგორც ყველა დაცული ტერიტორია მსოფლიოში, ისიც ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული თანაარსებობის, ანუ მდგრადი განვითარების იდეაზეა დაფუძნებული. მაგრამ, როგორც ასოციაცია “ლოგოსის” მიერ პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებში ვკითხულობთ: **“გამოკითხულთა დიდ ნაწილს უარყოფითი წარმოდგენა აქვს მის პერსპექტივაზე და აქ განხორციელებულ ღონისძიებებზე”**. ხოლო დიდმა უმრავლესობამ (71,6%) არ იცის, რა საქმიანობას ეწევა საქართველოში WWF და არც ინვესტორების შესახებ სმენით რამე. თუმცა, ადგილობრივი (4 რაიონის) მოსახლეობის ნახევარმა (49,3%) იცის და აღიარებს, რომ სწორედ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დაარსებულია ეროვნული პარკი.

“თავდაპირველად ხალხი ფიქრობდა, რომ WWF პარკში ადამიანისმჭამელი მგლების გამრავლებას აპირებდა,” – წერს ბერნარდ მატუსიკი, მაგრამ მის მიერ მოგვიანებით გამოხატულ ოპტიმიზმს ჯერჯერობით მაინც მყიფე საფუძველი აქვს. ჩვენ ხომ დღემდე, ნანადირევის მწვადი, “ცოცხალი”, წყაროზე ჩაცხიებული ღვინო გვიხარია და ორი მანქანა “მასალის” დღეს ნაშოვნი ფულით ვკმარავილდებით მხოლოდ.



ღომის მთა



ხარაგაულიდან ბორჯომში დაბრუნებული გამცილებლები

# ვაგზალი-ბაზარი

## თონა ჯაფარიძე

დაილექტიკური მატერიალიზმის კლასიკოსებს 90-იანი წლების თბილისის რკინიგზის ვაგზალი რომ თავიანთი ოპონენტებისთვის ეჩვენებინათ, ალბათ ადვილად დარწმუნდებოდნენ იმაში, რომ "ყოფიერება წარმოშობს ცნობიერებას..."

აგერ უკვე თითქმის ათი წელიწადია, რაც ჩვენს ცნობიერებაში ორმა სრულიად განსხვავებულმა ცნებამ – "ბაზარმა" და "ვაგზალმა" თავიანთი მნიშვნელობები ერთმანეთში ისე გაცვალეს, რომ ნებისმიერი ჩვენგანი რკინიგზის ვაგზალზე რომ გააჩერო და შეეკითხო – სად იმყოფებით, – რა თქმა უნდა, გაასუსებს – "ბაზრობაზე". ასეთ პასუხს მთელი მსოფლიოს რკინიგზის სადგურებიდან მხოლოდ ჩვენთან თუ მოისმენს კაცი. ჩვენს ცნობიერებაში რკინიგზის სადგური უკვე ასოცირდება "ოქროს ბირჟასთან", თურქულ საქონელთან, ყიდვა-გაყიდვასთან. დასაუფლოთ კი კომუნიკაციებთან, საქმიან მივლინებებთან თუ რომანტიულ მოგზაურობებთან.

ერთი სიტყვით, ჩვენს ქალაქში უჩვეულო მუტანტი დაიბადა.

თბილისის არტ-ნრებში უკვე ცნობილი "კლუბი 22" თავის საგამოფენო სეზონს ამ პრობლემატურით თემით ზურავს: კლუბის აღმოსავლური ყაიდის ინტერიერში, მოულოდნელად, ურბანისტული კულტურისათვის დამახასიათებელი ფენომენის, რკინიგზის სადგურის ამსახველი ფოტოები გამოიფინა. სახელმწიფო არქივის კუთვნილი ფოტო-ქრონიკის გვერდით, სადაც ყველაზე ძველი ფოტო 1905 წლით თარიღდება და რომელზეც მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში აგებული რკინიგზის სადგურის პირველი შენობის კლასიციტური სტილის ფასადია აღბეჭდილი, თანამედროვე არტ-ისტის, გიო სუმბაძის ციფრული ფოტომონტაჟითაა წარმოდგენილი - ახლანდელი ვაგზლის შენობის ჩვენთვის რეალური, საერთოდ ფოტოხელოვნებისათვის კი, ალბათ, ირეალური სიუჟეტი.

მხატვარ მამუკა ჯაფარიძის ინსტალაციამ (რკინიგზის სადგურიდან მოტანილმა გუდრონით გაჟღერებული ხის ძელებმა) რკინიგზისა და მოგზაურობის სურნელით აავსო საგამოფენო სივრცე.

ინგლისელი მხატვრის, ანთია ნიკოლსონისათვის კი თბილისის რკინიგზის სადგური, პიდაპირი მნიშვნელობით, "ბაზარია", რომელიც მხატვრის აქციის შედეგად, "ვაგზლის" კონტექსტში ჯდება: ანთია ნიკოლსონი მიდის ვაგზალზე (ანუ "ბაზარზე"), ჩალის ქუდიანი სოკოს გამყიდველისგან ყიდულობს ხის სოკოს, მისგანვე იგებს, რომ სოკო ახალდაბაშია დაკრეფილი, შემდეგ მიდის სადგურის სალაროში და ყიდულობს ბილეთს ახალდაბის მიმართულე ბით. გამოფენაზე კი მისი ნამუშევარი ჩალის ქუდზე დაბინავებული მატარებლის ბილეთითაა წარმოდგენილი. რასაც წარწერაც თან ერთვის – "ჰოდა, აი, ასე... ის წავიდა ვაგზალზე და იყიდა ბილეთი ახალდაბისკენ ერთი მიმართულე ბით".

გამოფენაზე მხატვრების: ილიკო ზაუტაშვილისა და ვატო ნერეთელის ფოტო-ნამუშევრებიცაა წარმოდგენილი, ცხადია, შესაბამისი თემატიკით.

სახელმწიფო არქივის ფოტო-ქრონიკიდან ჩანს, რომ მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, დროისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, რკინიგზის სადგურის შენობას რამდენჯერმე განუცვლია რეკონსტრუქცია. საბოლოოდ, საბჭოთა პერიოდში, 80-იან წლებში რეკონსტრუქცია-განახლების ნაცვლად, გადაწყდა, რომ ძველი შენობა დაენგრათ და აეშენებინათ დიდი კომფორტული კომპლექსი, რომელიც ამჟერკავასიის რკინიგზის ქსელში ერთ-ერთ მთავარ ადგილს დაიკავებდა. პროექტს მამინ (საავტორო ჯგუფი: რეზო ბაირამაშვილი, ილი ყავლაშვილი, გივი შავდია, ჯონდო ჯიბლაძე, შალვა გაზაშვილი) დიდი აღიარება მოუპოვებია. ის შეუტანიათ სერგეი ბატილევის ცნობილ სახელმძღვანელოშიც "ვაგზლების დაგეგმარება".

"ვეროპაში ერთ-ერთი საუკეთესო", "ეპოქის შესაბამისი სტილი" – ნერდა მამინდელი საკემპრო პრესა თბილისის რკინიგზის სადგურზე.

"ეს იყო არქიტექტორების ოცნების ასრულება" – იგონებენ დღეს პროექტის ავტორები. ოცნება, რომელიც რეალური იყო და ჩვენს ქალაქს ეკუთვნოდა, დღეს გამქარაღდა. ევროპული მასშტაბების კომფორტული სივრცე, რომელიც თბილისის და სქართველოს სტუმრებს მიიღებდა, ან გზად მიმავალს დროებით უმასპინძლებდა, დღეს აღარ არსებობს. ამჟამად თბილისის მსოფლიოში უნიკალური რკინიგზის სადგური: ოქროს ბირჟით, თოკზე გასაშრობად გაფენილი სარეცხით, სოკოსა და "ვამლის გამყიდველებით" და თურქული საქონლით გადატენილი "ბუტკებითაა" სავსე.

გამოფენა, სახელწოდებით, "ვაგზალი – თბილისი. კამიტალი" დაიხურა. "კლუბი 22"-მა თავისი არსებობის პირველი სეზონი ამით დაასრულა.



თბილისის ვაგზალი 1905 წელს. ერმაკოვის ფოტო



თბილისის ვაგზალი დღეს

გიო სუმბაძის ფოტო

# ყველაზე ინტელექტუალური სუპერმოდელი

## თამარ ბაბუაძე

მოგადიშუ ტიპური აფრიკული, უფრო ზუსტად, ტიპური სომალური ქალაქია. აუტანელი სიცხე, შიდა, შიმშილობა, ჩონჩხადქცეული ბავშვები და სამოქალაქო ომი. ალბათ, იქ დაბადებას არაფერია ინტერესი. სამშობლოს არჩევა რომ შეძლებოდა, სომალელობას, ალბათ, არც სუპერმოდელი იმანი ისურვებდა. თუმცა, ეს მხოლოდ გულის სიღრმეში, გარეშე თვალის დასახანად კი დევიდ ბოუის მეუღლე ყოველთვის ამყარებს, რომ აფრიკელია და თანაც, სომალელი აფრიკელი.

დღეს ამ და სხვა ფიქრებისთვის, წარსულში მოგზაურობისა და სამომავლო გეგმების დაწყებისთვის იმანის ზუსტად რომ შესაფერისი დღე აქვს – დაბადების დღე.

ის 47 წლის წინ, 25 ივლისს, ზემოთ აღწერილ მოგადიშუში დაიბადა, საუდის არაბეთში სომალის ელჩის ოჯახში.

ბევრისთვის არასასურველი წარმომავლობის მიუხედავად, დღეს იმანი პოპულარული ქალია. დევიდ ბოუის მეუღლე, სუპერმოდელი, ქველმოქმედი, ლამაზი, ტანადი – ეს სულ მისი ეპითეტებია.

იმანს უწოდებენ მოდელს, რომელმაც მსოფლიო მოდის სახე შეცვალა. მან სენსაცია 70-იან წლებში მოახდინა. იმანის პროპორციების მნახველ მოდის ექსპერტებს თვალეტი ფართოდ გასაღებია. ის იყო თითქმის პირველი შავკანიანი, აფრიკელი მოდელი, რომელმაც სოციალური ბარიერებიც გაარღვია და სუპერმოდელუბს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი გახდა. ფაქტია, ეს რეგალიები და ტიტულები პატივს არ მისცემს, მათ მოპოვებას შრომა, ნიჭი და გამართლებაც სჭირდება, მით უფრო, როცა სომალიში დაიბადები და სუპერვარსკვლავის კარიერაზე ოცნებას ვერც ბედავ...

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ იმანმა თავისი ბრწყინვალე კარიერა დაიწყო. სხვა სუპერმოდელებთან შედარებით ის ნამდვილი ინტელექტუალია – სწავლობდა ნაირობის უნივერსიტეტში, პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტზე და ფლობს ხუთ უცხო ენას. ქალი, რომელსაც სუპერმოდელის სხეული, უბადლო პროპორციები აქვს და მილიონების საშოვნელად ხმის ამოღებაც არ სჭირდება (გრაფიკული მიხვა-მოხვრაც კმარა) პოლიტიკური მეცნიერების და უცხო ენების ცოდნას მადლენ ოლბრაიტი, ან ოუნდაც მარგარეტ ტეტჩერის რანგში აყვავს. ანუ, რომ არა ნაირობის უნივერსიტეტის ეზოში მოხვედრილი ფოტოგრაფი

პიტერ ბერდი, არაფინ იცის, რა დადგებოდა დღეს იმანისგან – სომალის ელჩი გაეროში, თუ სულაც ქვეყნის პრეზიდენტი. მაგრამ სომალელი დიპლომატის ლამაზ ქალიშვილს, პოლიტიკური ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება არ დასჭირვებია. უნივერსიტეტში მოსწავნე იმანი პიტერ ბერდმა შენიშნა და მოდის სამყაროსაც აზიარა.

იმანის დებიუტი 1976 წელს, ამერიკულ "ვოგში" შედგა. ამის შემდეგ კიდევ ერთი მცდელობა და იერარქიულ კიბეზე თანდათანობით სვლა მას უკვე აღარ დასჭირვებია – იმანი პოპულარული და წარმატებული "ვოგის" ამ ისტორიული ნომრის გამოცვლისთანავე გახდა.

შავკანიანმა ლამაზმანმა მოდის სამყაროში სომალის ეგზოტიკურობას შეიტანა, ის იმდენად უცხო ხილი აღმოჩნდა, რომ პოდიუმზე გამოჩენისთანავე ერთდროულად რამდენიმე დიზაინერის მუზა გახდა. სახელი იმანის ვაგონებაც კი შთაგონებით ალავსებდა ივ სენ ლორანს, ვერსაჩეს, კელვინ კლანის და დონა კარანს. მოდელის 14-წლიანი კარიერის განმავლობაში იმანის სილამაზე ფოტოფირზე გადაჭკინდათ უდიდეს ფოტოხელოვანებს: პელმუტ ნიუტონს, რიჩარდ ავედონს, ირვინ უენს, ენი ლიბოვიცს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იმანი თავისი წარმომავლობით ამყარებს ამის დასამტკიცებლად ის სომალელებს არასდროს იცნებებს და მათ დახმარებას მუდამ ცდილობს. რამდენიმე წლის წინ, სუპერმოდელმა "ბიბისის" განუცხადა კიდევ: "სომალის მათხოვრებისა და ქურდების ქვეყანა არ არის. მსურს, ყველას ვაჩვენო, თუ როგორი იყო ჩემი ქვეყანა წინათ". ამ ხმამაღალი განცხადების შემდეგ იმანმა აფრიკული ტურნე მონაწილე გაემგზავრა და ლატაკი სამშობლოში მიიხანულა.

მიუხედავად იმისა, რომ იმანი უკვე 47 წლის ქალია და პოდიუმზე მრავალი, გაცილებით ახალგაზრდა შემცველი ჰყავს, რესპექტებულურობას და პრესტიჟს მაინც ინარჩუნებს. ახლახან ის ძვირფასეულობის მწარმოებელი ფირმის Debeers-ის მუზაც გახდა და კანის კინოფესტივალზე მის პრეზენტაციამ ერთ-ერთი მთავარი როლიც შეასრულა. პრეს-ვანჩზე იმანს ე.წ. "თასწლეულის ვარსკვლავიც" "ანდეს" – მას 203 კარატინი, მსხლის ფორმის ბრილიანტი ეკეთა, ხოლო, სიცვანა-ლურად ამ სადამოსთვის, მისი შავი კაბა ჯონ გალიანომ შეკერა.

სავარაუდოდ, რომ ეს რესპექტაბელური იმანმა იმიტირაცია შეე-



იმანი ჯან ფრანკ ფერესთან ერთად



ნაომი კემპბელი და იმანი



კრისტინ ლა კრუა

წარჩუნა, რომ მხოლოდ პოდიუმით არასდროს დაკმაყოფილებულია. 1994 წელს მან საკუთარი კომპანიისა და პარფიუმერიის ხაზიც ჩამოაყალიბა. I-MAN-ის პროდუქცია, უკვე წლებია, პოპულარულია აშშ-ში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ნაირობის უნივერსიტეტმა და პოლიტიკურმა განათლებამ იმანის ცხოვრებაზე გავლენა მაინც იქონია – აქტიურ პოლიტიკაში ის არასდროს ჩართულა,

მაგრამ, სამაგიეროდ, მსოფლიოს აფრიკელების უფლებების აქტიურ დამცველად მოეწონა. ის რამდენიცა და პარფიუმერიის ხაზიც ჩამოაყალიბა. I-MAN-ის პროდუქცია, უკვე წლებია, პოპულარულია აშშ-ში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ნაირობის უნივერსიტეტმა და პოლიტიკურმა განათლებამ იმანის ცხოვრებაზე გავლენა მაინც იქონია – აქტიურ პოლიტიკაში ის არასდროს ჩართულა,

არანაკლებ რესპექტაბელური და დახვეწილი ვირტუალური იმანიც. მისი ოფიციალური საიტი I-Iman.com, რომელიც, მაღალი ხარისხისა და დახვეწილი სტილისთვის, ვებმასტრები მუდამ მისთვის დევიდ ბოუისთან და სტუდენტ ქალიშვილთან ერთად, ნაბოლარა გოგონა, ერთი წლის ალექსანდრია ზარაც მოულოცავს. ის უკვე ძალზე საპატიო ტიტული მიანიჭა: ქალი, რომელიც ყველა ეტაპზე საუკეთესოდ გამოიყურება.

დღეს, თავისი 47-ე დაბადების დღეს ეს ტიტული იმანს ყველაზე მეტად სჭირდება, ბუნებრივია, მოსიყვარულე ოჯახთან ერთად – სუპერვენილი სტილისთვის, ვებმასტრები მუდამ მისთვის დევიდ ბოუისთან და სტუდენტ ქალიშვილთან ერთად, ნაბოლარა გოგონა, ერთი წლის ალექსანდრია ზარაც მოულოცავს. ის უკვე ძალზე საპატიო ტიტული მიანიჭა: ქალი, რომელიც ყველა ეტაპზე საუკეთესოდ გამოიყურება.



საბავშვო-სპორტული კლუბი

8-07

# „საქართველო - განძეულობა ოქროს საზღვის ქვეყნიდან„ ბრძოლდა



გულსაკიდი ბორჯომის ხეობიდან

### ნირო ჰანიპოლი

გამოფენა ამ სახელწოდებით 2001 წლის 28 ოქტომბერს, გერმანიის ქალაქ ბოხუმის სამთო მუზეუმში გაიხსნა და სექტემბრამდე გაგრძელდება. გამოფენას არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად გერმანიაში, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში კამპანიამ და ბოხუმის სამთო მუზეუმის მიერ ექსპოზიციის მოწყობის უმაღლესმა ხელოვნებამ განაპირობა. ქართული გამოფენა ვერც იმან დაჩრდილა, რომ პარალელურად გერმანიის სხვა ქალაქებში ტროას, ეგვიპტური, და ირანული ხელოვნების ნიმუშების გამოფენები მიმდინარეობდა. გერმანული გაზეთები აქტიურად იყენებდნენ ქართული გამოფენის შესახებ, და ყოველი მათგანი იყენებდა მსოფლიოში უნერლის მითების აღმოჩენის შესახებ. სამაგიეროდ, ქართული პრესა და ტელევიზია აბსოლუტურად გულგრილი

აღმოჩნდა ამ ფაქტის მიმართ. უცნაური კი ერთი რამ არის, როცა მარმან ქართული კულტურის დღეები გაიმართა დიდ ბრიტანეთში, ჩვენი მედია ყოველდღიურად გადმოსცემდა ცოცხალ რეპორტაჟებს ქართული კულტურის „ტრიუმფულ სვლაზე“ ბრიტანეთის ქალაქებში, სადაც ქართველი მომღერლები კაფეებში მღეროდნენ, ხოლო იქ გამართულ სპექტაკლებზე მაყურებელს ეძინა. ბოხუმის გამოფენის ავტორი და ორგანიზატორი ქართული მხარეა, კერძოდ კი არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. მისმა თანამშრომლებმა შეაგროვეს მასალა (500 ნივთი) საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებიდან, რომლებიც სრულად წარმოაჩენდნენ საქართველოში მელითონისგან განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიას. გამოფენა მთლიანად გერმანულმა მხარემ დააფინანსა: ნივთების ტრანსპორტირება, თითოეული მათგანის ანალიზი და რესტავრაცია,

კატალოგის გამოცემა. გარდა ამისა, საუბარია იმაზეც, რომ გერმანელები დააფინანსებენ თბილისში ლაბორატორიის გახსნას, რომ ნივთები ქართველმა არქეოლოგებმა სარესტავრაციოდ გერმანიაში აღარ ატარონ. ბოხუმის სამთო მუზეუმში უზარმაზარი ვიტრინა აქვს დათმობილი მსოფლიოში აღმოჩენილ უნერლეს მცველებში ნაპოვნი მძივები (ძვ.წ.VIII) შუაში გახვრეტილია, რაც მხოლოდ მიკროსკოპით ჩანს. ის, თუ რა ხელსაწყოთი იყო შესაძლებელი მათი გახვრეტი, უცნობია ქართველი და გერმანელი მეცნიერებისთვის. გამოფენაზე წარმოდგენილია მზის დისკოსებრი გულსაკიდები (ძვ.წ. XV). ამგვარი სამკაულები მხოლოდ საქართველოშია აღმოჩენილი, კერძოდ ბორჯომის ხეობაში. გამოფენის ორგანიზატორის ირინე ლამბაძის თქმით: „აქ სატაძრო



ბოხუმის სამთო მუზეუმი

ცხოვრება მიმდინარეობდა, სადაც ქალებისა და მამაკაცების სარიტუალო ფუნქციები მკვეთრად იყო გამოიჯნული. როგორც ჩანს, ქალები მზის კულტის მსახურები იყვნენ“. მას შემდეგ რაც ბოხუმის ლაბორატორიაში სპილენძისა და კალის მინარევებისაგან დამზადებული კოლხური ცულები ყანგისგან განიშინდა, აღმოჩნდა, რომ ისინი გრავირებული იყო და ყანგის მოცილებების შემდეგ ოქროსფრად აელვარდა. როგორც ირინე ლამბაძემ თქვა: „ჩვენი ადრე ნივთები ქიმიური ხსნარებით იწმინდებოდა, გერმანული სპეციალისტები კი მათ ხელით, მექანიკურად წმენდენ. თავდაპირველად ძალიან ფრთხილად, ზედა ფენა იღებდა და რჩევა პირველადი, ორიგინალური სახით. ასევე ირინე ქანდაკება (ჩვ.წ.III-IVს) დუშეთის რაიონის სოფელ ნეიხიდან, რომელიც ჩვენი გამოფენის ლოგოს წარმოადგენს, ვერცხლით ინკრუსტირებუ-

ლი აღმოჩნდა, რაც ყანგის ქვეშ იყო დამალული და არ ჩანდა“. ქართველი მეცნიერებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გამოფენის მზის კულტის მსახურები იყვნენ“. მას შემდეგ რაც ბოხუმის ლაბორატორიაში სპილენძისა და კალის მინარევებისაგან დამზადებული კოლხური ცულები ყანგისგან განიშინდა, აღმოჩნდა, რომ ისინი გრავირებული იყო და ყანგის მოცილებების შემდეგ ოქროსფრად აელვარდა. როგორც ირინე ლამბაძემ თქვა: „ჩვენი ადრე ნივთები ქიმიური ხსნარებით იწმინდებოდა, გერმანული სპეციალისტები კი მათ ხელით, მექანიკურად წმენდენ. თავდაპირველად ძალიან ფრთხილად, ზედა ფენა იღებდა და რჩევა პირველადი, ორიგინალური სახით. ასევე ირინე ქანდაკება (ჩვ.წ.III-IVს) დუშეთის რაიონის სოფელ ნეიხიდან, რომელიც ჩვენი გამოფენის ლოგოს წარმოადგენს, ვერცხლით ინკრუსტირებუ-

წარმოადგენს. დღემდე უამრავი საინტერესო არქეოლოგიური მასალა ამოდის ჩვენი ქვეყნის მიწიდან. „მერსედეს ბენცი“ ტროაში წარმოებულ გათხრებს აფინანსებს, მაგრამ იქ ჰენრიხ შლიმანის შემდეგ, პრაქტიკულად ახალი აღარაფერი აღმოჩენილა. სხვათა შორის, ტროას სახელით გავიდა ტროას გამოფენაზე ექსპონირებული ქართული ნივთები. ქართველ არქეოლოგებს და მეცნიერებს კი წინ დიდი და საინტერესო სამუშაო ელით, სანამ ბაქო - ჯეიჰანის ნავთობსადენი გაივლიდეს, მათ არქეოლოგიური გათხრები უნდა აწარმოონ ტაბანკურიდან აწყურის ჩათვლით. არნახული წარმატების შემდეგ გამოფენის მოწყობა გერმანიის სხვა ქალაქებშიც ისურვეს. 15 ნოემბრიდან გამოფენა „საქართველო - განძეულობა ოქროს საზღვის ქვეყნიდან“ ქალაქ ვის-ბადენში გადგავა.

## ქართველთა კვალის ნაკვალევზე

ახალ საუკუნეში ქართული მეცნიერებისთვის იერუსალიმის კარი გაიღო

### თამარ სუნიპოლი

რუსთაველის პორტრეტის ძიებას თავისი ისტორია აქვს. არსებობდა ტიპოვით გაბაშვილის ცნობა ჯვრის მონასტერში „გუმბათის ქვეით სვეტზე“ შოთა რუსთაველის ფრესკის არსებობის შესახებ, ალექსანდრე ცაგარელის ჩანახატი, მერე კი თითქოს ამ ფრესკის კვალიც დაიკარგა, უმეცარი ბერების“ გამოისობით, მაგრამ, ზედმა არ გაგვიმეტა, - ამ ფრესკას გაქრობა არ ენერა და 1960 წელს ირაკლი აბაშიძემ, აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა მას მიაკვლიეს კიდევ.

მას შემდეგ ბევრმა წყალობა ჩაიარა და მთელი ამ ხნის მანძილზე იერუსალიმი, სადაც თავის დროზე ქართული კულტურის არაერთი საკვანე ყვარდა, ფაქტობრივად მიანჩჩა ჩაკეტილი იყო ქართული მეცნიერებისათვის. ახალ საუკუნეში ეს ნანატრი დღეც დადგა, დღე, რომელსაც ქართველები დიდხანს ელოდნენ. სხვადასხვა დარგის მეცნიერთა 12-კაციანმა დელეგაციამ (ხელმძღვანელი თამილა მგალობლიშვილი) 2001 წლის 17 დეკემბერს დადგა ფეხი წმინდა მინაზე. ექსპედიციამ ისრაელსა და პალესტინაში 2002 წლის 1 აპრილამდე იმუშავა.

### წერილი I ქართული ეკლესია-მონასტრები წმინდა მინაზე

„იერუსალიმში დრო გაყინულია. ამას იქ მყოფნი ვერ გრძობენ. განსაკუთრებით - სასულიერო პირები. რასაც სხვაგან ერთ კვირაში გააკეთებ, იმას აქ თვეები სჭირდება. დროის დიდი ნაწილი წერილმანებზე იხარჯება. ბევრი ეკლესია დაკეტი-

ლია, წინამძღვრის მოძებნას დრო სჭირდება, მერე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მას გასაღები არა აქვს, ხოლო ის, ვისაც გასაღები აქვს, ავად არის და ასე გადის დრო,“ - გვეუბნება ქალბატონი თამილა მგალობლიშვილი.


მიუხედავად ამ რიგის თავმოხვედრისა და სირთულეებისა, ექსპედიციამ დიდი შრომა გასწია. მისი მიზანი იყო, წმინდა მინაზე ქართულ სიძველეებს, ქართველთა კვალის მოძიება და აღწერა. ქართული მემკვიდრეობის ჩატარება. ეს ყველაფერი წარმატებით განხორციელდა: „აღწერეთ ძალიან ბევრი ეკლესია-მონასტერი, რომელთა შესახებ მხოლოდ ცნობები გაგვაჩნდა. მაგრამ მათი ადგილსამყოფელი დასადგენი იყო. სათანადო მუშაობის შედეგად გამოიკვეთა 35 ეკლესია-მონასტერი, რომელიც ან ეკუთვნოდა ქართველებს, ან ქართველი მოღვაწეების სახელთან იყო დაკავშირებული. ეს მონასტრები უმთავრესად ძველ იერუსალიმშია აგებული. ქალაქი ძალიან პატარაა და ამიტომ შენობები მიჯრითაა ერთმანეთზე მიწყობილი. ეკლესიები ისეა გადაკეთებული-გასხვავებული, ვეღარც კი იცნობ. წმინდა ბასილის მონასტერი კომუნალურ ბინას უფრო ნაავაგს - აქეთ არაბი ცხოვრობს, იქით არაბის ოფისია, შუაში - მონასტერი. სამწუხაროდ, დღეს უკვე ძნელია პირველად არქიტექტურულ სახეზე საუბარი. ყველაზე კარგად ჯვრის მონასტერია შენახული, რომელიც ახალ იერუსალიმში მდებარეობს.“

ექსპედიციის მონაწილეთა განცხადებით, ერთ-ერთი ნაკლი მათი მუშაობისა ის იყო, რომ ვერ მოახერხეს თითოეული ძეგლის არქიტექტურული აღწერა, რადგან ეს პროცესი ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვდა. ამის საშუალება კი ექს-

პედიციას არ მიეცა. ამიტომ ქართველი მეცნიერები მხოლოდ ფოტოების გადაღებით, აღწერით და ანაზღაურებისა თუ ჩანახატების გაკეთებით, ანუ შავი მასალის შეგროვებით შემოიფარგლნენ.

სამაგიეროდ პირველად გახდა შესაძლებელი, ქართველთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო და კულტურული კერის - ჯვრის მონასტრის ფრესკების სრული აღწერა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ჯვრის მონასტრის ფრესკებიდან მცირე ნაწილია გადაჩვენებული. ექსპედიციის წყალობით, ხელოვნებათმცოდნეებმა პირველად იმუშავეს ამ ფრესკებზე. მზია ვანჯალია და მარიამ დიდებულძე ორი კვირის მანძილზე იკვლევდნენ ჯვრის მონასტრის ფრესკულ მხატვრობას. ამ მკვლევარებმა დაადასტურეს ელენე მეტრეველის მოსაზრება სამფენოვანი ფრესკული მოხატულობის არსებობის შესახებ (ეს ძირითადად სვეტების მოხატულობას ეხება). ყოველი გადანაწერი ფენა შესანიშნავად იკითხება რუსთაველის ფრესკაზე, გადანაწერი წარწერები ჩვეულებრივ ფოტოზეც კი კარგად აისახება.

კვლევის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია ქართული და არამართო ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის. ეს შედეგები აბათილებს უცხოელ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სვეტებზე მხოლოდ მე-17 საუკუნის ფენა შემორჩენილი. ბოლოსდაბოლოს შესაძლებელი ხდება ფრესკათა დათარიღება, მათი მოხატულობის სტილის შესწავლა. ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ წმინდა მინაზე არაერთი სენსაციური აღმოჩენა გააკეთა. ამის შესახებ დანერგებით ინფორმაციას ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოგვანდით.



რუსთაველის ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში

# პაკანტური ადგილი ფსტივალის ბენარალური სპონსორის ადგილის დასაკავებლად

## ფესტივალმა CIFA-მ საშემოდგომო თადარიგი დაიჭირა



CIFA 2001

### თამარ სანიშვილი

სპონსორის ადგილზეც თუ ვაკანსია შეიძლება გამოცხადებულიყო, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით. სპონსორის უარი ფესტივალის ორგანიზატორებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა, კავკასიის რეკლამის საერთაშორისო ფესტივალის გენერალურმა სპონსორმა "მაგთიკომმა", რომელმაც CIFA-ს თვით-დამკვიდრების საშუალება მისცა და რომლის წყალობითაც, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ბევრი რამ გაკეთდა, რატომღაც წლებიანდე-ლი ღონისძიების დაფინანსებაზე ხელი აიღო, თანაც ბოლო მომენტში, ივნისის მიწურულს. რალს იზამდნენ, კაცია და გუნდები, - ნათქვამია. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ბუნებრივია, ორგანიზატორებს სხვა სპონსორის მოძებნა არც კი უფიქრიათ. ხელშეკრულების თანახმად, არც ჰქონდათ ამის უფლება. ფესტივალის ორგანიზატორები სპონსორის მიმართ უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ, პირიქით, დიდი მადლობით მოიხსენიებენ კომპანიას განუყოფელი დახმარების გამო, რამაც ქართული რეკლამის დამამზადებლებს საშუალება მისცა, თავიანთი ნამუშევრები წარედგინათ კომპეტენტური ფიურის წევრებისთვის, და მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ "მაგთიკომის" უარის მიზეზი მათთვის უცნობია.

ორგანიზატორებს დიდი იმედი აქვთ, რომ ეს გაურკვევლობა ხელს არ შეუშლის 2002 წელს ფესტივალის ჩატარებას, ისევე როგორც არ შეუშლია ხელი მოსამზადებელი ეტაპისათვის. ამასთან, ფიქრობენ, რომ ვაკანტური ადგილი ცარიელი არ დარჩება.

ვინც კავკასიის საერთაშორისო რეკლამის მარმანდელ ფესტივალს ადევნებდა თვალყურს, ბევრ საინტერესო კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებას გაიხსენებს: ლექცია-სემინარები, მასტერკლასები, კონფერენციები და, რა თქმა უნდა, გართობა. სწორედ მაშინ დაფუძნდა "კავკასიის რეკლამისტების ასოციაცია".

2001 წლის ფესტივალის წარმატებული გამოდგა. ჩვენში ახლად ფეხადგმული სარეკლამო საქმისთვის დასავლური გამოცდილების გაზიარება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ამას გარდა, საქართველოში დამუშავებული რეკლამები სპეციალისტებმა შეაფასეს, და, რეკლამის მწარმოებელთა სასიხარულოდ, შეგვაქვს კიდევ, თქვენს ქვეყანაში პროფესიონალიზმის დონე ამაღლდა, ნამდვილად გაზრდილხართო.

CIFA-2001-ს დიდი რეზონანსი ჰქონდა. სტუმრების გასაკვირად, ამ ღონისძიებით არასპეციალისტთაგანაც ბევრი დაინტერესდა. კვივის რეკლამის საერთაშორისო ფესტივალის დირექტორმა მაქსიმ ლაზინიკმა ისიც კი ითქვა, "როცა 600 ახალგაზრდა ქუჩაში ხეტოლის მაგიერად დარბაზში ზის და სარეკლამო როლს უყურებს, ეს უკვე დიდი მიღწევაა".

კავკასიის საერთაშორისო რეკლამის ფესტივალის ორგანიზატორებმა საშემოდგომოდ თადარიგი უკვე დაიჭირეს. გუშინ ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენცია მოეწყო, სადაც CIFA-ს ორგანიზატორებმა მომავალ (რეგიონალურ) ფესტივალზე, მის სიახლეებზე და დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრეს. მათი თქმით, მოსამზადებელი

ეტაპი თითქმის დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს, შეიქმნა ფესტივალის გახსნა-დახურვის და გათვალისწინებულ ღონისძიებათა ჩატარების ადგილი - თუ ერთი წლის წინ ყველა ღონისძიება ერთ დარბაზში იყო თავმოყრილი, ახლა ღონისძიებებს რამდენიმე დარბაზი დაეთმობა.

2002 წლის ფესტივალის სხვა ბევრ სიახლესაც გვპირდება: თუ შარშან აქ 26 ქვეყნის 350 კომპანია მონაწილეობდა, წელს, ორგანიზატორთა განცხადებით, უკვე განაცხადა თანხმობა 36 ქვეყნის 450-მა სარეკლამო სააგენტომ, ინდივიდუალურმა პირმა თუ რეკლამის დამკვეთმა.

ჟიურის წევრების უფასო სემინარების, ვორკუპებისა და სხვა ღონისძიებების გარდა, უფრო საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალური კანის, ნიუ-იორკის, ლონდონის, პორტუგალიის... ქართულ სარეკლამო რეკლამებს სხვა ფესტივალებში მონაწილეობის შანსიც მიეცემა, ერთ ქართველ დიზაინერს კი საზღვარგარეთ სტაჟირება ელის. CIFA 2002 წლისთვის შემდეგ კონკურსებს გვემავს: სატელევიზიო, ბეჭდვითი რეკლამის, ეტიკეტისა და მეფუთვების კონკურსები, მუსიკალური რეკლამის კონკურსი (შარშან მხოლოდ მუსიკალური რეკლამის ჩვენება მოხერხდა), იმუშავებს დამის კლუბი, სპონსორებისთვის დაგეგმილი საპრომოციო ღონისძიებები, გაიმართება კავკასიის რეკლამისტთა ასოციაციის პირველი შემთავამებელი ფორუმი. წლებულს ფესტივალის პროგრამაში აქტიურად ჩაერთო შუა აზიის ქვეყნე-

ბი. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ აზიური რეკლამა ევროპაში საერთაშორისო გავლენით - "აზრეშუმის გზით" შეაღწევს.

ფესტივალის ჯერ არ დაწყებულა, ორგანიზატორები კი უკვე აღტაცებით ლაპარაკობენ დახურვის გრანდიოზულ ცერემონიაზე, რომელიც კუს ტბაზე 6-7-სათიან შოუ-პროგრამას წარმოგიდგენს.

ჟურნალისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, CIFA-ს და რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში "ეპიკას" წარმომადგენლის, მაქსიმ პლიუსინის ურთიერთობის საკითხი. ამ უკანასკნელმა ხომ იცინის, "ეპიკას" თბილისურ დღეებზე საკმაოდ სკანდალური განცხადება გააკეთა CIFA-ს დირექტორის მისამართით. გუშინდელმა პრესკონფერენციამ კონფლიქტურ საკითხს შეძლებისდაგვარად თავი აარიდა. CIFA-ს დირექტორმა ზურაბ მაღალაშვილმა ერთი კი მიანიშნა, პლიუსინის პრეტენზიები უსაფუძვლოაო, და იქვე დასძინა, რომ პლიუსინის დაუსწრებლად ამ თემაზე საუბარს არაკორექტულად მიიჩნევს.

პრესკონფერენციის განსაკუთრებით ეჭვიან მონაწილეებს ასეთი შეკითხვაც დაებადა: ხომ არ უკავშირდება სპონსორის დაკარგვა სწორედ ამ ინციდენტს? - ვერაფერს გეტყვით, ერთადერთი, ორგანიზატორთა სიტყვების გამოვრება შეეცდოდა, რომ ევროპული რეკლამის საერთაშორისო ფესტივალის "ეპიკა" დღეს CIFA-ს გვერდით დგას.

კავკასიის საერთაშორისო რეკლამის ფესტივალის 11-დან 15 სექტემბრამდე გაიმართება.

# ზაალ სამადავილის სკიპი მემოტორობაზე და ტორობაზე

ჩემი დაკვირვებით, ამ ბოლო დროს ლიტერატურებს გაკეთებული მოთხრობები უფრო მოსწონთ. შესაძლოა ვცდები, მაგრამ რომ არ მოსწონდეთ, ხომ არ შეაქვდნენ? რას ვგულისხმობ კეთებაში, უფრო სწორად, რომელი ტექსტი მგონია გაკეთებული? ალბათ ის, რომელსაც შესრულების თვალსაზრისით ნაკლებ ვერ უპოვი, მაგრამ გრძელდება მთავრდება, რომ ავტორმა მთელი ინერგია ჩანაფიქრის უშეცდომოდ განხორციელებას შეალოა, ნაცვლად იმისა, რომ ეს ნერგია მისი გაცოცხლებისათვის დაეხმარება. შესრულების ხარისხი, როგორც Hi-class-ისაც არ უნდა იყოს, ვერ განაპირობებს ტექსტის სიცოცხლისუნარიანობას. სიტყვებისა და წინადადებების ეფექტურად კომბინირების ცოდნა, რასაც დიდად ვფასებ ყველას, დამწყებსაც და გამოცდილსაც, ოდნავადაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოთხრობა სუნთქავდეს... მეტსაც გეტყვით, მოთხრობებს კეთებას არ ურჩევდნენ "საბრალო სკოტს" - ფრენსის სკოტ ფიცჯერალდს. ის კი, მოგეხსენებათ, როგორი სულის მთამბერავი გახლდათ თავისი ხელნაწერებისა, ვინც კეთებას არ ურჩევდა, ის ამბობდა სწორედ - დიდი გეტსისნარა რომანი დამანერონა ნეტავი... არცთუ ისე დიდი ხნის წინ აღმოვაჩინე, რომ მოთხრობების წერაში ცოტა ვინმე თუა ვოლკენრზე წარმატებული. მემოტორობე იყო ენესტ ჰემინგუეი, რეზო ინანიშვილი; მემოტორობა გიგამა - ვაჟა გიგამილი და მოუხედავად ერთგვარი დაუდგრობისა (რასაც სტილიც შეიძლება ვუწოდოთ), გურამ გეგეშიძე "აპრილით", "შურისძიებით"...

გრაფომანები ყველა ჟანრში თამამად გრძობენ თავს, მაგრამ რომანის უფრო ეტანება. შეგვიძლია ავსნათ - გარდა იმისა, რომ ბევრი წერა უყვართ, სახელის მოხვეჭა რომანით უფრო იოლია. გასსოვი, რა თქვა მარკესმა? - "ასწლიანი მარტოობა" იმიტომ დავედ თაროებზე, "პოლიკონის აღაზრდის არ სწერს" რომ ნაუკეთესო. მარკესი გრაფომანი ნაღდად არ არის; მის გენიალობაზე სწორედ ეს გამოთქვამი მეტყველებს. იმის მაგიერად, რომ თავი მოიხროს სამოცდაათიან წლებში პლანეტარული აღიარების მქონე რომანით, ამბობს, მოთხრობა მაქვს უფრო მაგარი დაწერილი...

რომანი არ დაუწერია სეი-სიონაგოსს, არც აკულტავებს დაწერილი რომანი, მაგრამ რა, ზემოხაზოთვ-

ლილ მემოტორობეთაგან ერთ-ერთის არ იყოს - ბაობაზე ნაკლებმნიშვნელოვანია დედამისისთვის პანია ბალახი? სულ ახლახან წავიკითხე ოთარ ჩხეიძის "პაგანიის თითები" ... მენდეთ, ზედიზედ რამდენჯერმე დამეხიზმრა საბედისწერად დაქნული გაბასრული წაღი და მტევანს მოსხევილი თეთრი, გრძელი თითები...

რომანს არ ვეწვებები, ჩემთვის, წყნარად მგონია, რომ კარგი მწერლის პოტენცია მოთხრობით უფრო ვლინდება. ამასთან დაკავშირებით მახსენდება, რომ ოკეანე წვეთში აისახება. წვეთი მოთხრობა - ერთი კაცის ერთი დღე, ანდა სულაც თხუთმეტი წუთი, ოკეანე ცხოვრება - ასეულ მილიონობით ადამიანის ბიოგრაფია... ოღონდ პროზაში ისე არ არის, როგორც არაორგანულ ქიმიკში, ასახვა თავისთავად არ ხდება, მას განმზორციელებელი სჭირდება, პროზის ენაზე - მწერალი...

კიდევ ერთი რამ... ოცდამეერთე საუკუნის რიტმი და ამ რიტმის შესაბამისი ასვერდია რომანები. თავმოყვარე რომანი, სულ მცირე, სამასგვერდიანი მინც უნდა იყოს... სამას გვერდზე უნდა იყოლიო გვერდში მკითხველი. ამისათვის, Amigo mio, ვარგას ლოსასავით უნდა წერდე, პედრო კამაროს გამოვრება უნდა შეგქვლოს, დიდი გრაფომანის, რომელსაც საკამზე ბალიშები უდევს, "რემინგტონის" კლავიშებს რომ მისწვდეს...

ლამაზ ქალებს უნდა აინტერესებდეს, შენს გულის ფიკარზე თავიანთი სახელების ამომკანრავ ვიგოებს... გოგოებს, რადგან მაგარი ქალები სიბერეშიც გოგოებად რჩებიან... რომ მოდის და ქუჩა რომ მოაქვს, ისეთი ქალის არსებობა მწერლის გვერდით - აუცილებელია... აუცილებელია იმიტომ, რომ მოკალმე, ვინც ასეთ ქალებს არ მოსწონთ (სეივარულზე აღარავფერს ვამბობ), ვერ დანერს "ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერებას", "ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს", "ვარსკვლავთა მანტიას" ...

ბოლოს იმასაც ვიტყვი: ვინც ერთხელ მინც არ ჩასულა ცხოვრებისგან ნახდენილი კაცებით სავსე სარდაფში წყლით გაზავებული სპირტის დასაღვეად, ვისი სახეის გაგონებაც არ აღიზინებს და წერვებს არ უშლის გაქსუებულია დაფასებულ საზოგადოებას, ვისაც პარიზის მარად თანმდევი დღესასწაულებს არა სჯერა - ჩემთვის ღირებულს ვერაფერს შექმნის...



CIFA 2001-ის დაჯილდოების ცერემონიალი

**საქართველოს აკადემიის 2 ივნისის ახალ შოუს - ხალხის პერიკაი. ეს არის ბავარიისა და რუსეთის შიდა რეკლამის უფრო მაგარი დაწერილი რომანი, მაგრამ რა, ზემოხაზოთვ-**

**შედეგი და გვარი:**

**ბიძის მისამართი:**

**საფოსტო ინდექსი:**

**სამსახურის ტელეფონის ნომერი:**

**ბიძის ტელეფონის ნომერი:**

**მომადევე ცვლადების ნომერი:**

**შედეგი და გვარი:**

**ბიძის მისამართი:**

**საფოსტო ინდექსი:**

**სამსახურის ტელეფონის ნომერი:**

**ბიძის ტელეფონის ნომერი:**

**მომადევე ცვლადების ნომერი:**

**შედეგი და გვარი:**

**ბიძის მისამართი:**

**საფოსტო ინდექსი:**

**სამსახურის ტელეფონის ნომერი:**

**ბიძის ტელეფონის ნომერი:**

**მომადევე ცვლადების ნომერი:**

# მერაბ ჟორდანი: "ლეიკოზილი ჩემი მეგობარია"

## მხილველი აბიჯი

"24 საათში" გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ "ჟორდანი ლეიკოზილი, თარგამაძეს და ჩხარტიშვილს ამხელს", სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ ფარულ ბრძოლას აწარმოებენ ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ყოფილი მინიჭან საქმეთა მინისტრი და ყოფილი ეკონომიკის მინისტრი, საკმაოდ რეზონანსი გამოიწვია. როგორც გაირკვა, ყოფილ სახელმწიფო მინისტრად მერაბ ჟორდანი ნიკო ლეიკოზილის კი არა, ვაჟა ლორთქიფანიძის გულსხმობდა. "24 საათი" კომენტარებისთვის დაუკავშირდა მერაბ ჟორდანიას, ნიკო ლეიკოზილს და ვაჟა ლორთქიფანიძეს.

მერაბ ჟორდანი: " ბატონ ნიკოსთან დიდი მეგობრობა მაქვს მიყვარს. მართალია, იგი მხურვალედ

გულმგებლობით ქართულ ფეხბურთს, მაგრამ არც ამ მოტივით და არც მალალი იერარქიული მდგომარეობით არასდროს უსარგებლია და ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა არ უცდია. ყოფილ სახელმწიფო მინისტრთა შორის კი ფეხბურთით დაინტერესებისა და სფფს წინააღმდეგ ფარული ბრძოლით გართობის სურვილი ვაჟა ლორთქიფანიძეს ამოძრავებს. თუმცა, ამით ვერც საკუთარ პოლიტიკურ რეიტინგს შემატებს ვერაფერს და ხელსაც ვერ შეგვიშლის დასახული მიზნების განხორციელებაში."

ნიკო ლეიკოზილი: "დარწმუნებული ვარ, მერაბ ჟორდანი არ იტყოდა, რომ მე მის, ან ვინმეს წინააღმდეგ ფარულ ბრძოლას ვაწარმოებ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარშემო განვიტარებულ პროცესებში არ ჩავერ-

უღვარ და ჩარევის არავითარი სურვილი გამაჩნია. თუმცა, ინფორმაციაზე სხვაზე მეტად მიმინჯდება ხელი და არც ვიცი, რომ ამასთან დაკავშირებით, ქართულ ფინანსურ და პოლიტიკურ ბორონდში დიდი მოძრაობაა. მერაბ ჟორდანიას წინააღმდეგ გაუფიქრებელი და ფინანსურად ძლიერი ჯგუფი გაერთიანდა. ქართულ ფეხბურთს საკმაოდ ცხელი ზაფხული ელის და ძნელი სათქმელია, ვისი გამარჯვებით დასრულდება 24 აგვისტოს ყრილობა."

ვაჟა ლორთქიფანიძე: "რა კომენტარი უნდა გაუქვეითო მერაბ ჟორდანიას მიერ ჩემს წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს? მე არ ვარ ის კაცი, ჟორდანიას დონის ადამიანების გამოწვევებზე რომ მასუბობენ. თავად ჟორდანიამ გააკეთოს კომენტარები თავისივე გამოწვევებზე."



ვაჟა ლორთქიფანიძე



ნიკო ლეიკოზილი



მერაბ ჟორდანი

## "რომას" და "ლაციოს" გაძევება ეპიქურადა

იტალიის საფეხბურთო ლიგამ ულტიმატუმი წაუყენა რომის ორ ნამყენ გუნდს - "რომას" და "ლაციოს". თუ 29 ივლისამდე ეს გუნდები შესაბამის ფინანსურ გარანტიებს არ წარმოადგენენ, სერია "ა"-ს დატოვებენ. ამას გარდა, უსამართლოდ ემუქრება სერია "ბ"-ს ექვს კლუბსაც - "ფორინტინას", "ჯენოას", "მესინას", "ნაპოლის", "პალერმოს" და "ვერონას" რომელთა ბიუჯეტიც გარკვეულ ეჭვს იწვევს.

შეგახსენებთ, რომ შარშან, ზაფხულში, ფინანსური პრობლემების გამო, იტალიური ფეხბურთის "მაგები" სერია "ა"-დან "ფორინტინას" გაძევებას აპირებდნენ. ფლორენციელებმა მაშინ უძლიერესათა შორის ადგილი კი შეინარჩუნეს, მაგრამ პრაქტიკულად თავისი ყველა მფლობელის გაყიდვა მოუხდათ და წლებულს სერია "ბ"-ში ჩამოქვეითდნენ.

ამჟამად მდგომარეობას ის არ-

თულებს, რომ "რომაც" და "ლაციოც" სუპერკლუბების კატეგორიას განეკუთვნებიან და მილანის საფონდო ბირჟაზე არიან წარმოდგენილები. შესაბამისად, ამ გუნდებისკენ მიმართული ნებისმიერი ნეგატივი შეიძლება მათი აქციების კურსზეც აისახოს. ამიტომ, რომაული კლუბები ხელმძღვანელობამ ლიგასთან კონფლიქტს გაუგებრობის კვალით ვიციცა მისცა.

"რომა" მზად არის, წარმოადგინოს აუცილებელი გარანტიები, - ამბობს კლუბის პრეზიდენტი ფრანკო სენსი, - მაგრამ მანამდე მსურს გავიგო, რატომ ითხოვენ ჩვენგან "ინტერს" და "მილანს" საშუალო მეტი თანხის გადახდას. "ლაციოს" პრეზიდენტის სერჟიო კრანიოტის განცხადებით, ყველაფერი ლიგასა და კლუბებს შორის ცული კორინციის ბრალია. სინამდვილეში "ლაციო" არავითარ ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

## "ინტერს" იპ სტამი სჭირდება

"ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ წინადადებით მიმართა რომის "ლაციოს", ჰოლანდიელი მცველი იპ სტამის დათმობის შესახებ. მორატი მზად არის, სტამის სანაცვლოდ რომაელებს 25 მილიონი ევრო და თურქი ემრე მოქლენას. ამას წინათ "ლაციომ" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ ჰყიდის ცენტრალურ მცველს ალესანდრო ნესტას. არადა, ნესტას შექენა სწორედ "ინტერს" ჰქონდა განზრახული.

მილანელთა არგენტინელმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, ჰოლანდიელი მცველი თავის გუნდში იხილოს. კუპერის განცხადებით, სტამ-

სა და ნესტას შორის დიდი განსხვავება არ არის. "სტამს შეუძლია თამაში, როცა მინდორზე სამი მცველია. "ინტერი" კი მომავალ სეზონში სწორედ ამ სისტემით აპირებს თამაშს", - განაცხადა ექტორ რაულ კუპერმა.

რაც შეეხება ფაბიო კანავაროს, მილანური კლუბი ამ ფეხბურთელზე პრეტენზიას ალარ აცხადებს. თანაც, როგორც გაირკვა, კანავარო მომავალ სეზონსაც "პარმაში" გაატარებს. არგენტინელმა ისიც თქვა, რომ ახლოს არის კონტრაქტის 2005 წლამდე გახანგრძლივებასთან. თუ მოლაშტისთან ყველა დეტალი დაზუსტდება, კუპერი მზად არის, "ინტერთან" კიდევ სამი წელი იმუშაოს.

## კანმა ვარჯიში დაიწყო

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის "ბაიერის" მეკარე ოლივერ კანმა თავის კლუბში ვარჯიში დაიწყო. მისი თქმით, მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აღარ აწუხებს ("ბაიერის" მეკარე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ტრავმა მიიღო).

"ხელის ტრავმა - ეს მხოლოდ ხელის ტრავმაა. ასეთ ტრავმებს უკლებლედ ყველა მეკარე იღებს", - გან-

ნაცხადა კანმა ვარჯიშზე მისულ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. ადრე ექიმები ვარაუდობდნენ, რომ კანნი ბუნდესლიგის ჩემპიონატის პირველ ტურებს გამოტოვებდა, მაგრამ მეკარის სწრაფი გამოჯანმრთელების შემდეგ პროგნოზები შეიცვალა და მსოფლიოს საუკეთესო მეკარე "ბაიერის" კარს უკვე ბუნდესლიგის პირველივე ტურში, "ჰერტასთან" მატჩში დაიკავს.

## ვენეციის თქმით, "მანჩესტერ იანაიტადს" გადახარჯვა მოუვიდა

ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ "მანჩესტერ იანაიტადს" რიო ფერდინანდში უსაშველოდ დიდი ფული გადაიხდა. ფრანგი სპეციალისტის თქმით, რიო 47 მილიონი დოლარი არ ღირს. მაგალითად, "არსენალმა" ახლახან ფრანგი მცველი სიგანა ორ მილიონ დოლარად შეიძინა.

"რიო ფერდინანდის შექენა მეც მსურდა, მაგრამ 47 მილიონს ნამდვილად არ გადავიხდი. თუკი "მეთოფეთა" დამრიგებელმა და იქვე

აღნიშნა, რომ თუ "მანჩესტერს" ბევრი ფული აქვს, მას შეუძლია, საკუთარ თავს ძვირფასი შენაძენი უძღვნას.

"მანჩესტერმა" კი თავისას მიაღწია და სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობა შეწყვიტა. კლუბის აღმასრულებელი დირექტორის პიტერ კინიონის თქმით, კლუბი ტრანსფერებს აღარ განახორციელებს. "მანჩესტერს" სათადარიგო მოთამაშეები არ სჭირდება. ჩვენ შევიძინეთ ის ფეხბურთელი, რომელიც გვჭირდება", - განაცხადა კინიონმა.

## ლუიზაოს "ჰერტაში" ინვესტი

ბრაზილიელი ფორვარდი ლუიზაო, როგორც ჩანს, ბერლინის "ჰერტაში" ითამაშებს. ამჟამად მსოფლიო ჩემპიონი "გრემიოში" თამაშობს, მაგრამ მან უკვე მიიღო გერმანიის ნაკრებისგან ფრად სანტერესი წინადადება. კულისებიდან გაყონილი

ინფორმაციით, ლუიზაომ "ჰერტასთან" კონტრაქტი ჯერ კიდევ კორეა-იაპონიაში გამგზავრებამდე გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ბერლინურ კლუბში უკვე თამაშობს ორი ბრაზილიელი - ალექს ალვეში და მარსელინიო.

# ინაქარის იტალიური ვნებანი

შარშან ამ დროს, ალბათ, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ მიუნხენის "ბაიერი" კარსტენ იანკერს ასე იოლად შეეღებოდა. ათლეტური აღნაგობის ფორვარდი, თუ გადასარევიდ არა, ყოველ შემთხვევაში, დამაჯერებლად მაინც გამოიყურებოდა და მიუნხენურ კლუბში საკმაოდ მყარი პოზიციები ჰქონდა. მაგრამ... მოხდა ისე, რომ გასულ სეზონის დასაწყისში ტრინინგატორი "ბაიერნი" ნამდვილ ლაზარეთად იქცა. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელთან ერთად ტრავმა იანკერსაც მიიღო და მისი საქმეები უკან წავიდა. იანკერს ფორმის აღდგენა ძალიან გაუჭირდა. როცა ფეხბურთის დასრულდა, "ბაიერნი" ფეხი ვეღარ აუწყო, მანცდამაინც არც ნაკრების ტესტირებაში ბრწყინავდა, მაგრამ ფოლტერმა მუნდილაზე იმ უბრალო მიზეზის გამო წაიყვანა, რომ სხვა

არჩევანი არ ჰქონდა. ბუნდესნაკრების მწვრთნელი, იტალიელების ფრანგებისა და არგენტინელებისგან განსხვავებით, ვარსკვლავებით განებიერებული ნამდვილად არ იყო.

ჯერ ისევ იოკოჰამაში იყო "ნულ-გოლ-ფორვარდად" წოდებული იანკერი, როცა "ბაიერნი" მის გაყიდვას დაინტერესდა. საბოლოოდ ესეც მოგვარდა. "უდინეზე" არგენტინელი რობერტო გამოვიდა ასპარეზზე, მერე - უკრაინელი "შახტარი" და ბოლოს იტალიური "უდინეზე". თურქები გამოსასყიდ თანხაზე ვერ შეთანხმდნენ, უკრაინაში წასვლის იდეა თავად იანკერს არ მოეწონა, აი, "უდინეზეს" კი ნამდვილად არაფერი დაეწუნებოდა.

უდინურ კლუბში იანკერამდე ოლივერ ბირჰოფი თამაშობდა და ისეთ დიდ წარმატებას მიაღწია,

რომ "უდინეზე" არც ახლა ამბობდა უარს ვეტერანად ქცეული ფორვარდის შექენაზე. "უდინეზე" იანკერსაც თვალში მოუვიდა. ერთდერთი პრობლემა მხოლოდ იანკერის კონტრაქტის გამოსყიდვა იყო. ფეხბურთელი 2003 წლამდე იყო "ბაიერნიდან" დაკავშირებული და მიუნხენელები სულაც არ აპირებდნენ მის უფასოდ გაშვებას. საბოლოოდ ესეც მოგვარდა. "უდინეზე" არგენტინელი რობერტო სოსა "ზოკა ზუნიორსს" ათხოვა და საჭირო თანხას თავი მოუყარა. ფრიულელებს იანკერის გამოსყიდვა სამი მილიონი ევრო დაუჯდა, რაც ასეთი პატარა კლუბისთვის ნამდვილად სერიოზული თანხაა, მით უმეტეს, ამ საყოველთაო კრიზისის დროს.

იანკერი საოცრად სწრაფად და მოულოდნელად გახდა უდინელების საკუთრება. სამშაბათს, შუ-

აღლისას, ფეხბურთელი "ბაიერნის" ბაზაზე გამოცხადდა და, თანაგუნდელებთან ერთად, სურათები გადაიღო ბავარიული კლუბის მაისურით, ნაშუადღევს კი "უდინეზეს" მეტეჯერმა პიერ პაოლო მარინიმ ოფიციალური განცხადება გააკეთა იანკერის შექენის თაობაზე. მართლაც რომ მრავლისმეტყველი ფესტი. "უდინეზეს" ისე ძალიან უნდოდა იანკერის შექენა, რომ ამხელა თანხის გადაცდას არ მოერიდა. როგორც ჩანს, ფრიულელების სერიოზულად აქვთ განზრახული, მომავალ სეზონში სერია "ა"-ს ზედა საფეხურებზე დამკვიდრდნენ. ლოკატორი სურვილია, თუ იმას გავეთვალისწინებთ, რომ გასულ სეზონში "უდინეზე" ლამის სერია ბ-ში გავერდა. საინტერესოა, თუ შექენილ იანკერი "უდინეზეს" იმედების გამოთვლებს.

# "დანდის" რუმინული თავბადასავალი

## პაატა თოთაძე

სეზონთმორისი შესვენება მხოლოდ ფეხბურთელთა დასასვენებლად როდია მოგონილი. ამ პერიოდში თითოეული გუნდი ცდილობს, მის ხელთ არსებული სახსრები მაქსიმალურად გამოიყენოს კლუბის გასაძლიერებლად. ეს ენება როგორც ახალი ფეხბურთელების ყიდვას, ისე სხვადასხვა ტურნირზე მონაწილეობით მათ ძველებთან შეთანხმებას. ისეთებიც არსებობენ, მარტო ახალი ფეხბურთელების მოწვევას რომ არ სჯერდებიან და მწვრთნელსაც ცვლიან.

მოტლანდიური "დანდისი" ერთ-ერთი იმათგანია, მარტო ახალი მოთამაშეების ყიდვას რომ არ დასჯერდა. კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტლებით, ძველი მწვრთნელის ივანო ბონეტის ხელში "დანდისი" არაფერი ეშველებოდა, ანუ მოტლანდიური მასშტაბებით კლავაც საშუალო გუნდად დარჩებოდა. ასეთი პერსპექტივა კი უფროსობას ნამდვილად არ ხიბლავდა და მათაც გადაწყვეტიეს, ვითარების გამოსწორება ბონეტის ნაცვლად ჯიმ დაფის მოწვევით ეცადათ. გაამართლებს თუ არა დაფი, მომავალში გაირკვევა, ჯერჯერობით კი მწვრთნელი ფეხბურთელთა შეთანხმებითა და ოპტიმალური შედეგადობის შერჩევითა დაკავებულია.

მოტლანდიური ხასიათის ამბავი უცნობი არავისთვის არ არის, მაგრამ დანდელები ამ მხრივ გამორჩეულნი არიან თავიანთ ქვეყანაში. გასულ სეზონში მინდერის გარეთ ამ გუნდის ფეხბურთელთა მონაწილეობით ათამდე ინციდენტი მოხდა. ამიტომაც რუმინეთში, საერთაშორისო ტურნირზე, დანდელების თავს გადაამხდარმა ისტორიამ არავინ გააკვირვა. ამ შემთხვევაში თავი "გა-



გიორგი ნემსაძე

# "კაიზარი" ჩამოაქვეითეს

ჟამად ახალი სამსახურის მოძებნაშიც კი ვენეზილიანი, ერთი რამ ცხადია: ბრემეს და შტრუმფს რომ თავის დროზე მოეხერხებინათ საერთო ენის გამოხატვა, დღეს "კაიზერი" სლაუტერნიში კრიზისი არ იქნებოდა.

"ლომბემა" გასული სეზონი ხმაურით დაიწყო, ერთი თანხა საკმაოდ შედეგდაც და გამოიყურებოდნენ და ბუნდესლიგის უმაღლეს ეშელონებში დამკვიდრებაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდნენ, მაგრამ "იმპერატორებს" დენი ბოლომდე არ ეყოთ. სეზონის ბოლოს ბრემეს და შტრუმფს, გულშემამტკიცებლისთვის თავის მოსაწონებლად, მხოლოდ მეექვსე ადგილი ინტერტოტოს თასზე ასპარეზობის უფლება ჰქონდათ, რაც, ის თქმა უნდა, სულაც არ არის გადასარევი შედეგი. გუნდი უფასო თანხის საგზურს ვერ შესწავდა და ვერც ინტერტოტოზე მოახდინა ფურორი. ჩეხურ "ტეპლიცეს" მაროი ბასლერ-

მა ორი გოლი კი გაუტანა, მაგრამ მატჩის უკანასკნელ წუთზე რამზიმ სულელური პენალტი აიკიდა და უნგრელმა ფერენც პორვატმა შანსი ხელიდან არ გაუშვა. 2:1 საკუთარ მოედანზე - ეს ის შედეგია, რომელიც "ტეპლიცეს" უფრო აძლევს ხელს, ვიდრე გერმანელებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ მატჩის შემდეგ ჩეხები თავანულები მიაბინებდნენ გასახდელისკენ, "კაიზერის" ფეხბურთელებს კი საკუთარი ბოლო პრეტენზიის აცხადებდა. მაგრამ "იმპერატორებს" დენი ბოლომდე არ ეყოთ. სეზონის ბოლოს ბრემეს და შტრუმფს, გულშემამტკიცებლისთვის თავის მოსაწონებლად, მხოლოდ მეექვსე ადგილი ინტერტოტოს თასზე ასპარეზობის უფლება ჰქონდათ, რაც, ის თქმა უნდა, სულაც არ არის გადასარევი შედეგი. გუნდი უფასო თანხის საგზურს ვერ შესწავდა და ვერც ინტერტოტოზე მოახდინა ფურორი. ჩეხურ "ტეპლიცეს" მაროი ბასლერ-

დებოდა, რომელიც განამებული იყო ჯიუტ მწვრთნელთან ბრძოლით. თუ შმალენბახი რომელიმე ფეხბურთელს ტრავმირებულად ჩათვლიდა და თამაშს აუკრძალავდა, შტრუმფი ექიმის გადაწყვეტილებას აინუნებოდა და იმავ დღე ფეხბურთელს მოედანზე უშვებდა. ახლა ჯერ კიდევ ბრემეზეა. არც მისი პოზიციებია მყარი და თუ "კაიზერი" "ტეპლიცეს" ვერ აჯობებს, პაეტლსდორფ-დასუ-რიოების გუნდიდან ერთ-ერთი ახალ შეხუნის "კაიზერსლაუტერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში დაინიშნება...



